„დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე



# ლიტერატურული მესხეთი

№3 (207)
მარტი
2016 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მეთვრამეტე წელი | "LITERATURULI MESKHETI" | "ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ"

**გიორგი ლეონიძე**

## რუსთაველს

რად არ გვაძინებ ღამეებს,
ტკივილო დანაკარგისა?
„ღვთის ქვეყანაში“ რა გინდა,
თავად ღმერთი ხარ ქართლისა.

რად გეძებთ იერუსალიმს,
ქართლიდან რისთვის წახველი?
ხომ საქართველოს ერთადერთს
შენ მოგილოცა სახელი.

რად გაეყარე სამშობლოს,
ტკბილ მიწას, დასაფიცარსა?
ალბათ, იცოდი, ქართველნი
ვერ დაგაყრიდნენ მიწასა.

თუ დაგხედავდა თამარი
კუბოზე ელვა თვალებით,
ალმურში გადადნებოდნენ
რუსთველო, შენი ძვალები.

დამყურებელო მწვერვალო,
დაჰხედე საქართველოსა,
ილოცოს ერმა ქართველმა,
რაც ძველად ჩოქვით ელოცა.

არ დაშრა შენი სიმღერა,
არც სიმი დასწყდა სანთურსა,
ნუ მოშლი საქართველოში
სიტყვას და ლექსსა ქართულსა.

ჩვენს მაჯას მარად აცოცხლებს
შენი თქმა – ნათლის მთოვარი,
შენი ღვთიური სიმღერის
გამოქროლვანი, ფრთოლვანი.

წამოდი, ჩვენო არწივო,
მოქანდი გულფიცხელადა,
ჩამობრიალდი თბილისში
მოფრენილ ცისარტყელადა.



როზა მეფისაშვილის ილუსტრაცია. 1894 წელი. ახალციხის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ფონდიდან.



„ვის ჰშვენის, – ლომსა, – ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა,
– მეფისა მზის თამარისა, ღაწვ-ბადახშ, თმა-გიშერისა, –
მას, არა ვიცი, შევჰკადრო შესხმა ხოტბისა, შე, რისა,
მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ, მი, შერისა“.

შოთა რუსთაველი

## რობერტ ბერიძე

## სიკვდილი

ერთი გლეხკაცი სახლს იშენებდა. მოულოდნელად სიკვდილი წაადგა თავს. თავზარი დაეცა. მუხლებზე დაიჩოქა და შეევედრა სიკვდილს: წვრიშვილის პატრონი ვარ, ობლად, ულუკმაპუროდ და უსახლკაროდ ნუ დამიტოვებ, ოჯახსო!

შეეცოდა სიკვდილს კაცი:

– კარგი, სხვა დროს მოგაკითხავო! – უთხრა.

გავიდა დრო. გლეხს დაავიწყდა სიკვდილი. რა ხანია აეშენებინა სახლი. კარმიდამო ბაღნარად ექცია. წვრილშვილიც დაზრდოდა. წელმოხრილი, ბარით ხელში, ვაზს რგავდა, გლეხი, სიკვდილის ხმა რომ გაიგონა. ისევ მუხლებზე დაეცა და ისევ შეევედრა: ამ ჩემი ხელებით დარგული ვაზის ნაყოფისაგან დაწურული ღვინო დამალევინე და მერე, თუნდაც, ჯოჯოხეთში წამიყვანეო!

შეყოყმანდა სიკვდილი წამიერად:

– ოდითგან, ამქვეყნად, ადამიანთა დაბადება და ჩემთან წამოსვლა, რაც თავი მახსოვს, ღვინის გარეშე არ აღუნიშნავთ! – დაფიქრდა და ისევ გაეცალა კაცს, თან გააფრთხილა:

– ყოველდღე მელოდე, აუცილებლად მოვალო!

მესამედ ისევ მიაკითხა სიკვდილმა. ამჯერად გლეხის სახლიდან დოლისა და ზურნის ხმა ისმოდა.

ვაჟის ქორწილი ჰქონდა, თურმე. ღვინით სავსე ყანწით, ოჯახის მფარველი ანგელოზის სადღეგრძელოს სვამდა, სიკვდილის ხმა რომ შემოესმა:

– წავიდეთ, ახლავე, უკვე შენი დროა! – უბრძანა სიკვდილმა.



შეწუხდა ისევ გლეხი, დაუპატიჟებელი სტუმრის დანახვაზე:

– ქორწილს ქელეხად ნუ გადამიქცევ. ცოტა ხანი კიდევ მაცალეო! – შეევედრა სიკვდილს.

– არა, ამჯერად არ დაგინდობ, შენი ჩემთან წამოსვლა ღვთის ნებაა, მე კი, წინ ვერ აღვუდგები!

– შემიბრალე, გევედრები, რამდენიმე დღე კიდევ მაცოცხლე! – არ ჩერდებოდა გლეხი.

– არა, შენი სიცოცხლის ბოლო დღეა. უფალმა ასე ინება! – ახლა უკვე მკაცრი კილოთი მიმართა.

– შემიბრალე, თუ ღმერთი გწამს, – მუხლებში ჩაუვარდა სიკვდილს.

– მე ულვთო ვარ და არავის ვემორჩილები! – ისევ მკაცრად გაუმეორა გლეხს.

– თუ ულვთო ხარ, მაშ, ღვთის სახელით რატომ აუბედურებ ადამის მოდგმას? – გაუკვირდა გლეხს.

შეცბა სიკვდილი. გლეხის კითხვამ დააბნია. პასუხი ვერ გასცა.

ახლა უკვე გული მიეცა გლეხს, დასაკარგიც აღარაფერი ჰქონდა და... აქეთ შეუტია:

– მაშ, არაკაცი და მატყუარა ყოფილხარ, ღვთის სახელით რომ მოქმედებ?!

– არაკაცი და მატყუარა შენ თვითონ ხარ, სიტყვის გამტეხი, ორპირი, ფლიდი, ორჯერ შეგიბრალე, დაგინდე და აქეთ მესაყვედურები, კიდეც?

– რა მჭირს შენი შესაბრალისი, შე ნაძირალავ, ყველას სძულხარ, ახლავე გაეთრიე ჩემი სახლიდან, თორემ, ძვირად დაგიჯდება ყველაფერი! – დაუღრიალა გლეხმა და ღვინით სავსე ფიალა შეასხა.

ახლა კი სულ გაცეცხლდა სიკვდილი. იგი ჩვეულ მოკვდავთაგან ასეთ პასუხს არ მოელოდა. მისი გამოჩენა ხომ ყოველთვის თავზარს სცემდა ყველა სულიერს, უფრო მეტიც, როგორც ღვთის კრავნი, ისე უხმოდ, ტანჯვითა და წამებით მიჰყვებიან უკან.

– კარგი, ახლა მე წავალ, მაგრამ, იცოდე, დღევანდელ დღეს მწარედ განანებ. ჩემს თავს მალე მოგანატრებ, აუცილებლად, საშველად მომიხმობ, ვიცი, მაგრამ, არ მოვალ და თუ გამოვჩნდი, შენს წასაყვანად, მაშინ უცრემლოდ, დაუტირებლად გამოგაცილებენ ამ წუთისოფლიდან.

– შენი თავი ნუ დამაჭირვოს, ღმერთმა! – მიაძახა გლეხმა და სიკვდილი კინწისკვრით გააგდო ქორწილიდან.

ამ ამბის შემდეგ დიდი დრო გავიდა. ბევრი სიმწარე ანახა შეურაცხყოფილმა სიკვდილმა გლეხს – არავინ შემორჩა, ხოლო თვითონ, სიბერისა და ავადმყოფობისაგან სარეცელს მიჯაჭვული, სხვათა სამადლოდ მოსავლელი, დაქცეული სახლ-კარის ფანჯრიდან ძლივსღა ხედავდა უპატრონოდ მიგდებულ, ჭინჭარმოდებულ ბაღ-ვენახს. გული უკვდებოდა. ჯოჯოხეთად ქცეულიყო მისთვის ყოველი დღე, ყოველი წუთი და წამი. სიკვდილს უხმობდა, მაგრამ, მისგან დამდურებული სიკვდილი, არ ეკარებოდა.

– ეჰ, რა ფუჭი ყოფილა ამქვეყნად სიკვდილთან ბრძოლა... სიმწრისაგან ოფლი ჩამოსდიოდა სახეზე გლეხს და სასოწარკვეთილი სიკვდილს უხმობდა...

## კლარა გელაშვილი

## დიმიტრი ყიფიანის საფლავზე

წმინდანო, როგორც იქნა ველირსე მოვვახლებოდი შენს საფლავს. მოწიწებით თავი დამეკრა და მეთქვა, რომ ორ წამადაც არ მიღირს ორი საუკუნე შენი დაბადებიდან! არ მიღირს, რადგან, ყოველი დღის რიჟრაჟს და ყოველი მზის სხივს, ჩემი სამშობლოს მკერდზე დაცემულს, შენი სახე აქვს... და, ასე, ყოველი ახალი დღე, ახალი სიტყვა, შენი შობილია და, მეც, ამიტომაც, ქედს ვიხრი არა წარსულის, არამედ, ჩვენი თანამედროვე წმინდანის წინაშე. მაშ, რატომ ვდგავარ ახლა აქ, შენს საფლავთან და რად ვკითხულობ ,,ელენეს გოდებას“? რად ვიხსენებ შენს წასვლას, ამა ქვეყნიდან?! ეს, იმად, რომ ჩვენს შვილებს ვასწავლოთ მამულისადმი თავდადება. კიდევ ის, თუ როგორ უნდა იცხოვრო კაცმა, რომ ქვეყანას დააკლდე და ლოცვად დადგეს ერი შენს საფლავთან... ვაჩვენოთ, თუ საიდან და როგორ იწყება მარადიული სიცოცხლე...

ძნელია, შენს დიად ნაბიჯებში ჩემი პატარა კვალი ჩავტიო, მაგრამ, სასოწარკვეთამდე მისულს, გამახსენდება თუ არა შენი სიტყვები – „არასოდეს სთქვა, დავიღალეო“! – სიმხნევე მემატება და წამში ვფხიზლდები...

ხელისგულივით მოსჩანს მამადავითიდან თბილისი... ზეციური სამყოფელიდან კი, მთელი შენი ტკივილიანი საქართველო...

ვერა და ვერ აიდგა ფეხი!..

ვერა და ვერ შედგა იმ რელსებზე, შენ რომ დაუგე...

,,კაცისა, ყოველივე, სამშობლოს უნდა ეკუთვნოდეს"-ო და აღარაფერს ვიტოვებ პირადულს!.. იქნებ, ჩემი წვის სხივით, სხვათა გზის განათება შევძლო და ამით ღირს გავხდე შენი ხსოვნის მოდარაჯეობისა... სულს გადავაცვა სტიქარი შენი მსახურებისა...

იმ ორთქლმავალმა წყალი კი არა, სისხლი მოითხოვა...

არც ეს შეგვენანა, მაგრამ... თავისუფლების ძიებაში კომპასი მოგვეშალა და შედეგმაც არ დააყოვნა, – გაუმარჯოს ამერიკას! ხელი მან გამოგვიწოდაო და დღემდე გაუცნობიერებლად შევყურებთ სივრცეს, საიდანაც ეს ხელი უნდა გამოჩნდეს, მაგრამ, არა ვიცით რა, – მადლით „გვემუქრება'“ ეს ხელი თუ ხელყოფით?..

ნეტავ ახლა, „ქართული ენის გრამატიკის“ უბადლო ავტორს, დედაენის გვერდზე რომ უსამშობლო ხალხის სახელმძღვანელო გენახა, ნეტავ რას იტყოდი, რას მოიმოქმედებდი? ნეტავ საით აიღებდი გეზს, ახლა რომ ჩვენი მესაჭე ყოფილიყავი?

შენს ხსოვნას, ილიას ხსოვნას, ბევრად უფრო გონიერი შთამომავლობა ეკადრებოდა... საუკუნეები უკან ბრუნდებიან, ყოველივეს იმეორებენო... მაშ, სად ხართ თქვენ, თქვენი ახალი სიტყვით, გადარჩენის გზის ახალი პროგრამით?!

სული მეხუთება, მაგრამ, არ ვიტყვი, დავიღალე-მეთქი!–

მე ახალი ვარსკვლავის დაბადებას უნდა მოვესწრო! სწორედ იმ ვარსკვლავისას, კიდევ ერთხელ რომ ბეთლემს გაანათებს!..

# ურავლის ხეობის ნაკადულები

## გუგული ელიზბარაშვილი

გზა, რომელიც წყლის დინების საწინააღმდეგოდ მიდის, მაღლა და მაღლა მიიწევს, სადაც მთა მთას მიჰყვება, ხევ-ღელეები მთაგრეხილებში იჭრება, მიდის იქამდე, სანამ მთებიდან დაშვებული ცელქი და მოუსვენარი ნაკადულის სათავე არ გამოჩნდება, რომლისგანაც ის იბადება და მოედინება.

მრავალი მთა, მაღლობები, დაბლობები, ნიაღვრებისაგან ჩახრამულნი, უსწორმასწორონი, ხალიჩასავით შემოსილი ლამაზი საძოვრებით, სხვადასხვა სახის ბუჩქებითა და მზის სხივებით გაბრწყინებული ფიჭვისა და ნაძვის, რცხილისა და ვერხვის, მუხისა და ნეკერჩხლის ხეებით შეფენილი, ფერადი ტყეებით გიზიდავენ და გულს გიხარებენ.

სწორედ ამ მაცოცხლებელი, სურნელოვანი ბუნების წიაღიდან, ნაძვებისა და ფიჭვის ფესვებიდან მორაკრაკებს მაჯის სიმსხო ცივი, სასიამოვნო, ანკარა წყარო. ის წმინდა და სპეტაკი, უწყინარი, გემრიელი წყლის სახით მოეფინება, როგორც ახალშობილი კვიცი, აქეთ-იქით ეცემა, ცდილობს გასწორდეს და გამართულმა მოძებნოს თავისი სწორი გზა. პოულობს კიდეც.

ნელა, მშვიდად ეშვება შორეულ გზაზე სამგზავროდ და იწყება მისი დიდი თავგადასავალიც. იგი, გზადაგზა, მრავალი სანახაობის მომსწრე ხვდება, მერე ზღვას უერთდება და ახალ, მარადიულ სასუფეველში უჩინარდება.

პატარა წყარო მოწიწებით მიიწევს წინ და სხვადასხვა, თავისსავე მსგავსი წყაროს წყლე-



ბით ივსება და მდიდრდება. მათთან ერთად იზრდება, ღონიერდება, ცეკვა-ხტუნვით, ფრინველების ჭიკჭიკსა და ჟრიამულში ჩაედინება ხევ-ღელეებში, სადაც ულამაზესი პატარ-პატარა ჩანჩქერები წარმოიქმნებიამ და ისეთ ხმას გამოსცემს, თითქოს კისკისებს. მისი უსწორმასწორო ნაპირები, მისი დინება, თმის ოთხწვერიანი ნაწნავის მსგავსად, რიტმულად და უსასრულოდ იწნება, რაც ზღაპრულ სანახაობას ტოვებს.

სწორ და ვაკე ადგილებზე, დაღლილი ნაკადულები, შეუმჩნევლად, წამიერად შეისვენებენ, თვალს მოატყუებენ და ისევ აგრძელებენ შორეულ გზაზე დინებას.

სუფთა, ჰაერივით გამჭვირვალე ნაკადულებს სიამოვნებთ და ეამაყებათ თავიანთ სტიქიაში ულამაზესი, ცელქი, მოუხელთებელი, ოქროსფერი კალმახების დგაფუნი. აქ თევზებიც უსაფრთხოდ, დაცულად და ბედნიერად გრძნობენ თავს, ხშირ-ხშირად, ჩანჩქერებში უჩინარდებიან და... ასე გრძელდება უკუნისი უკუნისამდე.

წყაროს წყლებით გამდიდრებულ ნაკადულს, გზადაგზა, სულ ქვემოთ და ქვემოთ, უშველებელ კლდის ლოდებთან პირდაპირი შეჯახებებიც უხდება და, ბარში ჩასვლამდე, კარგა გვარიანად იღლება, იღლვება, მერე დარბილებული და დახმარებული, პატარა მდინარედ გადაიქცევა.

ერთი კია, მას, სადაც დაიბადა, ნელ-ნელა აიდგა ფეხი, იქიდან მოაქვს მთის სიხასხასე და თვალით უხილავი, ფაუნისათვის ფრიად სასარგებლო და აუცილებელი ელემენტი – მაცოცხლებელი, – მთის სუფთა ჰაერი.

ბარში, მას, ხშირად, ხიდების ქვეშაც უხდება გაძრომა, მიმართულების შეცვლაც და ყოველი მხრიდან, თავისსავე მსგავსი, ტოლი, ზოგჯერ უფრო დიდ მდინარეებთან შერწყმა და საკუთარი იერსახის შეცვლა, – ხან მოლურჯო ფერში გადადის, ხან რუხი ფერი გადაჰკრავს და, ბოლოს, კამკამა მთის მაცოცხლებელი ნაკადული მღვრიე ტალღებად იქცევა და სამუდამოდ კარგავს თავის სიკამკამეს.

და მაინც, ყველაზე მეტად მუჩუხჩუხე ნაკადულებს, ამინდის უცაბედი ფერისცვალება ალიზიანებთ. ჯერ უწყინარი ჟუჟუნა წვიმა, მერე შხაპუნა, თავსხმა და... ამღვრეული ნაკადულები, მდინარის მინგრეულ-მონგრეული ნაპირები და ქვა-ღორღით ჩახერგილი კალაპოტები.

ბოლოს, უფაქიზესი და უსპეტაკესი მთის ცივი, ანკარა წყლები თავისი პატარ-პატარა შენაკადებით ღვარცოფებად იქცევიან, თავის სახიერებასაც კარგავენ და ადამის მოდგმას საფიქრალსადარდებელსაც უჩენენ ხოლმე. მერე, ნელ-ნელა ისევ ცხრებიან, მშვიდდებიან... ასე მეორდებიან ათადან და ბაბადან მოყოლებული უკუნისი უკუნისამდე...



# კლარა გელაშვილი

***

სადაურობას მკითხავდა ერთი...
(ჯერ, საქართველოს მზეს დავიფიცებ!) –
მახსოვს, მესხეთში ღიღილოს ვკრეფდი,
მერე ქვიშხეთში გამოვიღვიძე...

## სანთელი

სკას გავეყარე, ახლა ვარ ხვითო,
მოვპარე სითბო ფუტკარს ფრთებიდან,
ცეცხლში დავიწვი, გარდავისახე,
რომ დავდგომოდი უფალს შეგირდად...
ღარიბი მქნის და ღარიბი მყიდის,
მრცხვენია, გამვლელს ხვეწნით სდევს როცა,
გახსოვდეთ, ჩემს ალს უფალთან მიაქვს
თქვენი უსიტყვო, გულწრფელი ლოცვა!
ციხის კედელზე, ტაძრად თუ ნიშში
მდუმარედ ვეკვრი მთრთოლვარე თითებს,
განსაცდელშიც ხომ დიდია მადლი, –
სწორედ ესაა მაცხოვრის სიბრძნე...
ბოლო ბაქანზე ჩამოვალთ ყველა,
აქ იწირება სულის ზედაშე...
რა უნდა იყოს იმაზე წმინდა, –
ჩოქვად რომ ვდგევართ,
ხატთან, მე და შენ...

## მხოლოდ ქართულად...

გადამითარგმნეთ, ცხელი გული გადამითარგმნეთ,
ატატებული გრძნობა თარგმნოთ იქნებ, ჩინურად,
გადამითარგმნეთ, უნაზესი სულის სიმძაფრე
ან ქართული ცის ცისარტყელა თარგმნეთ ფინურად.
გადამითარგმნეთ, გთხოვთ, მთაწმინდა გადამითარგმნეთ,
გადამითარგმნეთ ბერმუხა და ცეცხლის ღადარი,
გადამითარგმნეთ უფლისციხე, მერე ვარძია,
უცხო პალიტრით მომიხატეთ ფრესკა თამარის...
გადამითარგმნეთ დიდოსტატის დიდი მარჯვენა,
სვეტიცხოველში ცხელი გულის თარგმნეთ საფლავი,
გადამითარგმნეთ, როგორ იცავს მიწას მადლიანს
გალაკტიონის იისფერი თოვლის საბანი.
გადამითარგმნეთ, სიყვარული გადამითარგმნეთ,
გადამითარგმნეთ „გენაცვალე“, თუნდაც , „გეთაყვა“,
დედაენაში აკინძული ჩვენი ფოლკლორი,–
მითებითა და ლეგენდებით სავსე ქვეყანა...
გადამითარგმნეთ ქარაფები, გადამითარგმნეთ,
მერე, მათთვისაც გამოძებნოთ ახსნა, ეგების, –
თუ რად წამოსცდა მოყმის დედას სიტყვა სამძიმრად,
დაე,იცოდნენ, სისხლით სისხლს რომ არ მიეგების!..
გადამითარგმნეთ უფლის მადლი, გადამითარგმნეთ,
ტატოს მერანი ნახე, როგორ მიჰქრის ზღაპრულად,
გადამითარგმნეთ „საქართველო“, გადამითარგმნეთ,
ვით ათრთოლდები, თუ არ ითქვა, იგი ქართულად?!
გადამითარგმნეთ, მწუხრის ჟამი, გადამითარგმნეთ,
ღმერთო, თარგმნილი ჩემი გრძნობა, როგორ გაკადრო?!
რა ვქნა, მიყვარხართ, თუკი მხოლოდ, მხოლოდ ქართულად, –
ამ ცისქვეშეთში ჩემი ზეცა რომ არ დავკარგო!

## ჩემი იები

მე გუშინ იებს დავეძებდი
ლიხის აღმართზე, –
ჭიამაიამ ამისრულა გულისწადილი
და, მაპოვნინა...
დავკრიფე ნაზად და ვუძღვენი
არც ქმარს, არც დედას, –
ფრთხილად შევაღე სახლის კარები
და შემოვავლე აკვანზე ეკას, –
ჩემი იები, ჩემი განძი, –
ყმაწვილქალობა...

## მიდი, დამიძახე....

მინდა დავირბინო შენი მთა-ველები,
მინდა, მოგეფერო, მესხეთო,
უნდა მოვიძიო ჩემი ნაკვალევი, –
თაფლის სანთლით უნდა ვეძებო!
მიდი, დამიძახე!...მინდა ჩავაქსოვო
ფრთათეთრ გვირილებში ღიღილო,
ცხრა მთას გადაგისვრი, აღარ გაგიკარებ,
გულს შემოჩენილო ტკივილო!
თითქოს მოგიძულე, დედინაცვალივით,
გტკივა, – სხვა სახატე ვიწამე ...
ეს არ დაიჯერო, ჩემო საყუნეთო,
ფეხი მე შენს მკერდზე ვისწავლე!..
მაგ მკერდს მივაბარე ჩემი დიდი განძიც,
ჩემი ნუგეში და ხვითო, –
მძევლად შეგატოვე გატანჯული დედა,
სხვა ხარკს, ჩემგან რაღას ითხოვ?!..
როცა ავბორგდები, ძილი გამიტყდება, –
შენი მონატრება მტანჯავს!..
მყისვე გეახლები და თავს გავიმართლებ, –
ქალის ბედია და... რა ვქნა?!

## ზღვის ცრემლები

**იუზა გელაშვილის ხსოვნას**

ზღვას გადაჰყოლია ფრთათეთრი თოლია,
ჩამოდნენ თმათეთრი მთები,
თვალი თუ სველია, დრო მთლად შიშველია,
მძიმეა პატარა ცრემლი...
აფრას რომ დაეცა, გული ვერ გაექცა,
ჩაძირა იმედი მერცხლის,
ღვთისმშობლის ცრემლები
ბედიის ტაძართან,
დრო მოვა, ყველაფერს შეცვლის!..

აფხაზეთო, ჩემო, შენო,
აწ კი, მისო სუდარავ,
შენი ერთი მუჭა მიწის
მეტი, აღარც სურდა რა!..
რა ყოფილა, ეს პატარა
ცრემლი, ციდა, ნამცეცა...
გული როგორ დაიტანა
ლაწვზე ჩამონაღვენთმა...

დგას ანაკობია, დაღლილი თვალებით,
რიწას კვლავ ფერს უცვლის სევდა...
თამარის ხიდზე თუ არ შეგხვდა აპრილი, –
იტყვი, რომ დაგცინა ბედმა...
ცხუმს ახლა აღარას მღერიან გედები, –
გადმოჰყვნენ მოქცევას ზღვისას...
ოდესმე აიხდენს იმ სიზმარს, ყმაწვილი, –
პაპამ რომ ანდერძად მისცა...
აფხაზეთო, –
ჩემო,
შენო!

## პასუხი

**ლ.გრიგალაშვილს**

შენ რომ მოსტირი, იმ ბაღში მე ვარ.
შენს ნაფეხურსაც ვიპოვნი თუ გსურს;
შენს მონატრებულ ქვას ხელს გადვუსვამ,
გავუფრთხილდები იმ კუთხე-კუნჭულს.
სადაც ლამაზი დაგრჩა ბავშვობა,
დღესაც გიხმობენ ლიხში იები,
მაგრამ რა ვუყო, თუკი შენს ნაცვლად
დღეს მათ დაკრეფენ ჩემი შვილები?!
ახალ ბუდეში ჩაქსოვე ნებით,
სულის სიმები, აღთქმის წესადა,
მაინც, ჩემსავით, დღემდე ასე სთვლი, –
თითქოს, ვიღაცის ვალი გემართა...
და რაც დღეს შენში აღმოვაჩინე, –
სარკეს შევხედე, თითქოს შემთხვევით,



მეც ხომ მატირებს ჩემი ვარძია,
მეც ხომ მეძახის ჩემი მესხეთი!...
... ჩემი მერცხალი დასერავს სამხრეთს,
შენ ჩემთა თვალთა ხილვად მოგიხმობ,
მე შენს ბავშვობას მზითვად გაგატან
და იმის ნაცვლად, ჩემსას მოვითხოვ!...

## საბავშვო ბაღი

ცხოვრება დიდი საბავშვო ბაღია.
ჩვენ, – მუდმივად ბავშვები.
დაუსრულებლივ ვწუწუნებთ და
ცრემლიანი თვალებით ვუმზერთ გზას,
საითაც დედები გაუჩინარდნენ...
თუმცა, ვიცით, ისინი აღარასოდეს
დაბრუნდებიან!...
მერე, ამ ბაღში, ჩვენც დავტოვთ შვილებს...
მერე ჩვენი შვილებიც... შვილიშვილებიც...
ასეთია ერთ-ერთი კანონი სამყაროს
მარადიულობისა...
დღემდე ხელგაწვდილი დავალ ამ ბაღში და
ცრემლიანი თვალებით ვითხოვ სითბოს,
რომელიც დედამ წაიღო.
ის აღარ მოვა!..
მე უნდა მივაკითხო!..

## ფუფალა

არ დახევია ჭრელა-ჭრულით
ნაკინძი კაბა,
არ გაცვეთია ქუსლდამძვრალი
„ტუფლის“ პადოში,
ისევ ამაყად მიირხევა,
როგორც ჩვეოდა,
ქუსლს არ იფუჭებს
გლეხი ქალის
შავი კალოშით.
ფერუმარილით დატკეცილი
ლოყა სავსეა,
ისე, ვით გული, ისიც ელის
თავის შიოლას...
იყო ფუფალა...
კვლავაც არის! – წარმოსახვებით
რამდენ მარტოსულს
გათენება გაუიოლა...

## ვეძებ...

უდროოდ მოვიდა მწუხარება,
ფრთებზე წამეკიდა ცეცხლი.
თუმცა, გვიანია სინანული,
რადგან, ველარაფერს შევცვლი...
მაშინ შევიგრძენი დედამიწა,
თავზე რომ დამექცა ბუდე,
ველარ შემიფარა ცრემლიანი
დედის გათოშილმა უბემ...
შვილის შიშჩამდგარი თვალებისთვის
დღეს ცრემლის დამალვაც შევძელ,
ექვშეუტანელი სიყვარულის
მადლი დავკარგე და, ვეძებ!..

## როგორ მჭირვებიხარ...

რწმენა განმიმტკიცე,
რწმენა განმიმტკიცე,
რწმენა განმიმტკიცე
რწმენა!...
ასე ვჩურჩულებდი,
თითქოს ბანი მომცეს
თავზე დამგუგუნეს მთებმა;
რწმენა განმიმტკიცე,
ზე, ხელს აღვაპყრობდი,
კრძალვით ამბორს ვყოფდი
კუთხეს,
ცაო,უფლისაო,
მადლით აღვსილმყავი,
როგორ მჭირვებიხარ.
თურმე!..

## ელენეს გოდება

**ნაწყვეტი პიესიდან ,,გზა მოწამისა – დიმიტრი ყიფიანი"**

მამა მომიკლეს! შენ კი – შვილი, მამულო ჩემო!
გათენებამდე რამდენიმე წუთი რომ აკლდა...
მაინც გათენდა!
იმ სუდარას, მამას რომ ერგო,
საქართველოსთვის
ამზადებდა მტერი, ქართველთა!
მამა მომიკლეს!!!
შენ კი – შვილი, მამულო ჩემო!
ერის ქომაგის აკვნესებულ გულში ატირდა
აწმყო, წარსული, მომავალი, –
ბინდი სოფელის!
ვინ გაუყინა ძარღვში სისხლი, სადაც ძალუმად
დანავარდობდა სიყვარული, მხოლოდ ქართული?!
მამა მომიკლეს!-
შენ კი – შვილი,მამულო ჩემო!
მიიღე მისი გული, როგორც უფლის ნობათი!
მიიღე მისი სისხლი, როგორც წყალი მწყურვალთა!
მიიღე მისი სული, როგორც თბილი ნიავი,
მალამოდ იყოს და ნუგეშად, ადამიანთა!

# გვახსოვდეს ისტორიის

## სიმონ კილაძე



*დღეს მსოფლიო დიდი გამოწვევების წინაშე დგას. ჩვენს გარშემო არა თუ ცივი ომის, არამედ დენთის სუნი ტრიალებს და არავინ არ იცის, ხვალ, ზეგ რა მასშტაბებს მიიღებს იგი.*

*საქართველოს, თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მშვიდად ყოფნის უფლება არ აქვს. ისტორია მეორდება. როგორ პოლიტიკურ კურსსაც ავიღებთ, ალბათ, ისე წარიმართება ჩვენი ცხოვრებაც.*

*ასეთი დიდი განსაცდელის წინაშე, ცხადია, არაერთხელ მდგარა საქართველო, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენზეც ბევრი რამ არაა დამოკიდებული. თუმცა, გამოუვალი მდგომარეობაც არ არსებობს, – ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ისტორიის გაკვეთილები.*

*დღევანდელი ნომრის სტუმარია ქართული დიპლომატიის მკვლევარი, პოლიტიკური მიმომხილველი **სიმონ კილაძე,** საქართველოს უახლეს ისტორიაში ღრმად ჩახედული ადამიანი, რომლის სიტყვასაც დიდი ფასი აქვს. ჩვენი გაზეთის მკითხველები ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ როგორც სამხრეთ საქართველოს, ასევე, მთლიანად, გასული საუკუნის 20 და 40-იან წლებში საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე, მაშინაც, საქართველო, თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობით, არაერთი დიდი ქვეყნის ინტერესთა სფეროში მოექცა. ამიტომ ჩვენი საუბარიც ბატონ სიმონ კილაძესთან ამ კუთხით წარიმართა:*

*– ბატონო სიმონ, გთხოვთ, გვითხრათ, როგორი იყო ისტორიული ტაო-კლარჯეთის ეროვნული შემადგენლობა 1921 წლამდე?*

მესხეთის ნაწილი - ისტორიული ტაო-კლარჯეთის ტერიტორია, რუსეთმა ოსმალეთისაგან 1877-78 წლების ომის დასრულებისას ხელმოწერილი სან-სტეფანოს ზავის შედეგად, კონტრიბუციის ნაცვლად მიიღო. იმავე ხანებში ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე შეიქმნა რამდენიმე ადმინისტრაციული ერთეული:

ა) ართვინის ოკრუგი, რომელიც მოიცავდა ისტორიული ძველი კლარჯეთის საერისთავოს მნიშვნელოვან ნაწილს (თვითონ კლარჯეთს, ლიგანის უდიდესი ნაწილს და შავშეთ-იმერხევს). 1883 წლის 27 ივნისს ართვინის ოკრუგი ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში შევიდა. იგი დაიყო ართვინის, არტანუჯის და შავშეთ-იმერხევის უბნებად. 1903 წლის 1 ივლისს ართვინის ოკრუგი კვლავ ბათუმის ოლქის შემადგენლობაში მოექცა. ართვინის ოკრუგის ადმინისტრაციული ცენტრი იყო ქ. ართვინი. ფართობი - 3272 კმ². დასახლებული პუნქტების რაოდენობა - 165 (1905 წ.); მოსახლეობის საერთო რაოდენობა 1882 წ. - 38 443, 1905 წ. - 58 418 კაცი. ოკრუგის მოსახლეობის უმრავლესობას მაჰმადიანი ქართველები შეადგენდნენ. 1916 წლის აღწერის მიხედვით 61 000 მოსახლიდან 56 000 მაჰმადიანი ქართველი იყო. ქართული კარგად იყო შენარჩუნებული ლივანაში (ძველი ლიგანი), მურღულის ხეობაში, ზემო შავშეთსა და იმერხევში.

ბ) არტაანის ოკრუგი, რომელიც მოიცავდა ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (მესხეთის) სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს, 1883 წელს არტაანის ოკრუგის ყარსის ოლქს შეუერთდა. ოკრუგის შემადგენლობაში შედიოდა: კოლა, არტაანი, ჩილდირი (ჩრდილი) და სამცხის სამხრეთი ნაწილი ფოცხოვი (ანუ ყარსის ოლქის ცენტრალური ჩრდილოეთი ნაწილი). 1883 წელს ოკრუგი დაიყო არტაანის, კოლის, ჩილდირისა და ფოცხოვის უბნებად. არტაანის ოკრუგში, განსაკუთრებით კოლის, არტაანისა და ჩილდირის უბნებში, მოსახლეობის მნიშვნელოვან უმრავლესობას თურქები, თურქმენები, ყარაფაფახები და ქურთები შეადგენდნენ, სხვა ერების წარმომადგენლები - სომხები, ბერძნები და რუსები უმნიშვნელო რაოდენობით იყვნენ. 1921 წლისათვის არტაანის ოკრუგის ყველაზე ქართული რეგიონი ფოცხოვის უბანი იყო, რომელიც თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრას ესაზღვრებოდა. არტაანის ოკრუგი ყარსის ოლქის სამხრეთ ნაწილისაგან მტკვრისა და არაქსის აუზების წყალგამყოფი ყარსის ქედით იყო გამოყოფილი და მტკვრისა და ფოცხოვის ხეობების ზემო წელს მოიცავდა. ეკონომიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით, თბილისის გუბერნიასთან იყო დაკავშირებული.

გ) ოლთისის ოკრუგი, რომელიც მოიცავდა ტაოს ისტორიულ მხარეს, ყარსის ოლქის შემადგენლობაში შედიოდა. 1913 წლისთვის ოკრუგში დაახლოებით 30 ათასამდე ადამიანი ცხოვრობდა, მათგან ყველაზე მეტი თურქები (60%), ქურთები (10%), სომხები (9%), ბერძნები (8%), რუსები (2%).

**– ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების (1918 წლის 3 მარტი) გაფორმების დროს დიდი დავა იყო იმაზე, თუ სად უნდა გასულიყო თურქეთის საზღვრები ამიერკავკასიაში. ერთი ვარიანტით თურქეთის შემადგენლობაში ახალქალაქიც მოიაზრებოდა. როგორ მოხდა ამ საზღვრების დადგენა? ლევ ტროცკის რომ დაეჭირა მტკიცე პოზიცია, შენარჩუნებული იქნებოდა თუ არა ტაო-კლარჯეთის ნაწილი მაინც საქართველოს საზღვრებში?**

ლევ ტროცკის მიერ 1929 წელს დაწერილ მემუარებში – „ჩემი ცხოვრება“, ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებას ორი თავი აქვს დათმობილი, მაგრამ იგი არცერთში არაფერს არ ლაპარაკობს ართვინის, არტაანის და ოლთისის ოკრუგებზე (ანუ ტაო-კლარჯეთზე). ლევ ტროცკი უფრო დაინტერესებული იყო უკრაინის და ბელორუსიის ტერიტორიებით და ამიტომაც გერმანიისადმი ზედმეტ დათმობებზე უარს აცხადებდა. შესაბამისად, მას ამიერკავკასიის ტერიტორიების მიმართ მტკიცე პოზიცია არ ჰქონია და არც ექნებოდა. გარდა ამისა, გავიხსენოთ, რომ კავკასიაში ბოლშევიკების მოწინააღმდეგეები - მენშევიკები ბატონობდნენ და, აქედან გამომდინარე, აშკარაა, ლევ ტროცკის რუსეთის კავკასიური ტერიტორიების ბედი ნაკლებად ადარდებდა. სხვათა შორის, ლევ ტროცკი საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის (მინისტრის) თანამდებობიდან 23 თებერვალს გადადგა და მას ბრესტის საზავო ხელშეკრულებისთვის ხელი არც მოუწერია. საბოლოო დოკუმენტზე ხელმოწერა გრიგორი სოკოლნიკოვისაა, რომელიც მოლაპარაკების ბოლო ეტაპზე საბჭოთა რუსეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა.

**– 1918-1920 წლები განსაკუთრებით დიდი უბედურების წლები იყო სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობისათვის...**

ამ საკითხზე საუბრისას აუცილებლად უნდა გავიხსენოთ იმ პერიოდის მსოფლიოში მომხდარი ყველაზე ეპოქალური მოვლენა – პირველი მსოფლიო ომი, რომელმაც თავისი გავლენა სამცხე-ჯავახეთზეც მოახდინა. როგორც მოგეხსენებათ, პირველ მსოფლიო ომში რუსეთის იმპერიის, როგორც ანტიგერმანული კოალიციის (ანტანტის) წევრის კავკასიის სამეფისნაცვლოს ტერიტორია „ოთხთა კავშირის“ წევრ ოსმალეთთან (თურქეთთან) მიმართებით ფრონტის წინა ხაზს წარმოადგენდა. 1915-1916 წლებში რუსეთის არმიის კავკასიის ფრონტის ჯარებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს - დაიკავეს ერზერუმი, მუში, ტრაპიზონი (ანუ დღევანდელი თურქეთის ტერიტორიის თითქმის მესამედი), მაგრამ 1917 წლის რევოლუციის შედეგად რუსეთის კავკასიის არმია ბოლშევიკური აგიტაციის შედეგად უმართავ ძალად იქცა, გახშირდა დეზერტირობა, მაროდიორობა... ფრონტი, ფაქტიურად, დაიშალა. რუსეთის ჯარმა უკან დაიხია და დაკავებული ტერიტორიები კვლავ თურქეთმა დაიბრუნა. სხვათა შორის, იგივე სიტუაცია იყო დასავლეთის ფრონტზეც (დღევანდელ უკრაინასა და ბელორუსიის ტერიტორიებზე). გერმანიის ჯარებმა კიევიც დაიკავეს. 1918 წლის 3 მარტს ქალაქ ბრესტ-ლიტოვსკში (დღევანდელი ბელორუსია) საბჭოთა რუსეთი იძულებული გახდა ხელშეკრულება დაედო, რომლის მე-4 მუხლის ძალით, ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი (ართვინის ოკრუგი), აგრეთვე არტაანისა და ოლთისის ოკრუგები, თურქეთს გადაეცა (მართალია, პლებისციტის ჩატარების პირობით, მაგრამ მაინც). ამიერკავკასიის სეიმმა და კომისარიატმა ბრესტის ზავის პირობები არ აღიარეს, თუმცა ოსმალეთისთვის ამას უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

ქართველი ხალხისთვის ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის მოსაგვარებლად, 1918 წლის მარტში, ქ. ტრაპიზონში გაიმართა ოსმალეთსა და ამიერკავკასიის კომისარიატის დელეგაციათა მოლაპარაკება. ტრაპიზონის კონფერენციაზე ოსმალეთი ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების მე-4 მუხლის უპირობო შესრულებას ითხოვდა. მხარეთა უკომპრომისობის პირობებში კონფერენცია შეწყდა და ოსმალეთმა ბათუმის, არტაანისა და ყარსის ოკრუგების დაკავების მიზნით საომარი მოქმედებები დაიწყო. 1918 წლის მარტ-აპრილში ოსმალეთმა მთელი აჭარის, გურიის ნაწილის და სამცხე-ჯავახეთის ოკუპირება მოახდინა. მართალია 1918 წლის აპრილში ამიერკავკასიის სეიმმა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს - ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა, მაგრამ ამან საქმეს მაინც ვერ უშველა. 1918 წლის მაისში ოსმალებისაგან ოკუპირებულ ბათუმში კვლავ დაიწყო მოლაპარაკება ამიერკავკასიისა და ოსმალეთის დელეგაციებს შორის. სამწუხაროდ, მოლაპარაკების დროს, ამიერკავკასიის დელეგაციაში განხეთქილება მოხდა: აზერბაიჯანელები აშკარად მხარს უჭერდნენ ოსმალებს, მაშინ, როცა დელეგაციის ქართველი და სომეხი წევრები ეწინააღმდეგებოდნენ თურქების ჯარების წინსვლას. ასეთ პირობებში, 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. შესაბამისად, საქართველომ ოსმალეთთან მოლაპარაკება ცალკე სუბიექტის სახით დაიწყო, რადგან სამხედრო-პოლიტიკური სიტუაცია ძალიან მძიმე იყო, საქართველო იძულებული გახდა დათანხმებოდა ოსმალეთის პირობებს. 1918 წლის 4 ივნისს ბათუმში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ოსმალეთს შორის დადებული „მტკიცე მშვიდობისა და მუდმივი მეგობრობის“ ხელშეკრულების თანახმად, ოსმალეთის კუთვნილებაში გადადიოდა ბათუმის, ართვინისა და არტაანის ოლქები, ახალციხის მაზრის უმეტესი ნაწილი, აგრეთვე მთლიანად ახალქალაქის მაზრა, ანუ, ამით აღდგა რუსეთ-ოსმალეთის 1823 წელს არსებული საზღვარი. იმავე ხელშეკრულებით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე განისაზღვარა მუსულმანთა უფლებები და მათი მმართველობის სტრუქტურები.

ოსმალეთი მოპოვებული უპირატესობის განმტკიცებას შეუდგა. 1918 წლის ივლისში მის მიერვე ოკუპირებული ბათუმის ოლქისა და ართვინ-არტაანის ოკრუგების ტერიტორიაზე ოსმალეთმა პლებისციტი ჩაატარა და გამოაცხადა, რომ ამ ოკრუგების მოსახლეობამ თურქეთის შემადგენლობაში გადასვლა ისურვა. ეს იყო დიდი სიცრუე, რადგან რეფერენდუმი უხეში ძალმომრეობისა და შანტაჟის პირობებში ჩატარდა. რასაკვირველია, ოსმალების ბატონობის დროს, აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობა ძალზე მძიმე იყო, განსაკუთრებით ქრისტიანებისა და მათგან ყველაზე გაუსაძლისი - სომხების მდგომარეობა.

საბედნიეროდ, ოსმალეთის ბატონობა დიდხანს არ გაგრძელებულა: პირველ მსოფლიო ომში ოსმალები დამარცხდნენ და მუდროსის 1918 წლის 30 ოქტომბრის საზავო შეთანხმებით მათ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან ჯარების გაყვანა მოუწიათ, მათ შორის, რასაკვირველია, სამცხე-ჯავახეთიდანაც. თუმცა, სანამ თურქები გავიდოდნენ, ბათუმში, ართვინში, არტაანში (არდაჰანში) და, ცხადია, ყარსის ოლქშიც, მრავალი მხარდამჭერი და აგენტი დატოვეს. არ უნდა დავივიწყოთ ის ფაქტიც, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მხარეების მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მუსულმანი იყო და, მიუხედავად მათი ქართული წარმომავლობისა, საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი - განსაკუთრებით მსხვილი მიწათმფლობელები და ბეგები - მხარს ოსმალეთს უჭერდნენ. სწორედ მათი ინიციატივით, 1918 წლის 1 დეკემბერს, ყარსში მოწვეული ადგილობრივი პროთურქული ეროვნული საბჭოს სხდომაზე, ე.წ. „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკა“ („ყარსის მთავრობა“) გამოცხადდა, რომლის ტერიტორიებად დადგინდა ყარსისა და ბათუმის ოლქები (ართვინ-არტაანითურთ), ერევნის გუბერნიის ნაწილი, თბილისის გუბერნიის ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები. თუმცა, აქვე შევნიშნავთ, რომ ეს დადგენილება ქაღალდზე დარჩა და „მთავრობის“ უფლებამოსილება მხოლოდ, საკუთრივ, ყარსის ოლქით შემოიფარგლებოდა.

ამდროისათვის, სამცხე-ჯავა-



უნიკალური ფოტოსურათი: მოსკოვში, 1921 წლის 16 მარტს რუსეთ-თურქეთის მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დროს: რუსეთმა საქართველოს ტერიტორიები უკვე თურქეთს გადასცა.

→

# გაკვეთილები!

ხეთშიც (ახალციხე-ახალქალაქში) რთული ვითარება შეიქმნა. პროთურქულ ელიტას სათავეში ჩაუდგა გამაჰმადიანებულ ჯაყელთა შთამომავალი, მესხეთის მუსლიმთა პოლიტიკური და სამხედრო ლიდერი ოსმან სერვერ-ბეგ ათაბაგი (სერვერ-ბეი ათაბეკოვ-ქვაბლიანსკი. იგი ფრიად განათლებული პიროვნება იყო (გერმანიაში ინჟინერიას, ხოლო რუსეთში - იურისპრუდენციას დაეუფლა). 1918 წლის დეკემბერში ოსმან სერვერ-ბეგმა მესხეთის მუსლიმთა ეროვნული საბჭო ჩამოაყალიბა და სათავეში ჩაუდგა პან-თურქისტულ სეპარატისტულ მოძრაობას, რომელიც მიზნად ისახავდა მესხეთის საქართველოსგან ჩამოშორებას და „ყარსის რესპუბლიკაში“ გაერთიანებას. საინტერესოა სერვერ-ბეგის მიერ შექმნილი ახალციხის მთავრობის (კომისარიატის) შემადგენლობა: კომისარიატის თავმჯდომარე - სერვერ-ბეგი; მისი თანაშემწე და შინაგან საქმეთა კომისარი - ტომაშევიჩი (დედით ქართველი); მთავარი მოსამართლე - მურთაზა-ბეგ ფალავანდოვი (ფალავანდიშვილი); ფინანსთა მინისტრი - მარქარიანი; სურსათის მინისტრი - კარტალოვი, ჯანმრთელობის მინისტრი - რიუმინი; აქციების მინისტრი - რუფინი; ქალაქის კომენდანტი - ახმეტიევი; ქალაქის დაცვის უფროსი ტერ-არუთინოვი....

ოსმან სერვერ-ბეგმა არ იკმარა მუსულმანებსა და ქრისტიანებს შორის აშკარად მის მიერ წაქეზებული სისხლიანი შეტაკებები და ახალციხეში შესულ ქართული ჯარების მცირერიცხოვან გარნიზონს ბრძოლა გაუმართა. იგი ცოცხალი ძალითა და იარაღით დიდ დახმარებას ყარსიდან იღებდა (საერთოდ, ამ ქალაქში რუსეთის კავკასიის არმიამ 1917 წელს, უკანდახევისას, დიდძალი იარაღი დატოვა, რომელსაც შემდეგ თურქები დაეპატრონნენ). საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა ახალციხე დროებით პროთურქი სეპარატისტებისათვის დაეთმო. უკანდახეული ქართული ჯარისა და გვარდიის ნაწილები ბორჯომის მისადგომებთან გამაგრდნენ.

1919 წლის თებერვლის შუა რიცხვებში, ახალციხის ფრონტის შტაბის უფროსად, მოგვიანებით კი აქ თავმოყრილი ჯარების სარდლად და გენერალ-გუბერნატორად, გენერალ-მაიორი გიორგი კვინიტაძე დაინიშნა. მას პირველ მსოფლიო ომში, კავკასიის ფრონტზე მნიშვნელოვანი საბრძოლო გამოცდილება ჰქონდა მიღებული და იმ დროისათვის საქართველოში ერთ-ერთ წარმატებულ სამხედრო სტრატეგად ითვლებოდა.

**– რა სამხედრო ძალებს ფლობდა ახალციხის ფრონტის სარდალი?**

რეგულარული საარმიო ნაწილები: 4000 ჯარისკაცი (საშტატო შეიარაღებით);

სახალხო გვარდიის ნაწილები - 3200 გვარდიელი (საშტატო შეიარაღებით);

არტილერია - 16 სამთო ქვემეხი;

მძიმე ტექნიკა - 5 ჯავშნიანი ავტომობილი;

ავიაცია - 2 თვითმფრინავი (ავიადაზვერვისთვის).

ზურგის უზრუნველყოფის ქვედანაყოფები (კავშირგაბმულობისა და საინჟინრო ოცეულები).

ახალციხის ფრონტს საქართველოსათვის სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. მართლაც და, თუ იქ ინიციატივა საბოლოოდ მტრის ხელში გადავიდოდა, გამორიცხული არ იყო, რომ სერვერ-ბეგის „ისლამური არმია“ ბორჯომს დაიკავებდა და, შემდეგ, უკვე ხაშურთან გადაჭრიდა ქვეყნის მთავარ სატრანსპორტო არტერიას - საქართველოს რკინიგზას, თბილისი-ქუთაისის გზატკეცილს, ბაქო-ბათუმის ნავთობსადენს... გათურქებულ ქართველთა შთამომავლის მოქმედების უარყოფითი შედეგები მთელი საქართველოსათვის დამღუპველი იქნებოდა.

ასე რომ, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში შექმნილი მდგომარეობა სწრაფ და რადიკალურ გადაწყვეტას მოითხოვდა, რაც განხორციელდა კიდეც.

ქართული შეიარაღებული ნაწილების განლაგება შეტევის წინ ასეთი იყო: სახალხო გვარდიის ნაწილები (გენერალ-მაიორ სტეფანე ახმეტელის მეთაურობით) - მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ბორჯომ-ახალციხის გზატკეცილის გასწვრივ, სლესის ციხესთან ახლოს, რეგულარული არმიის ნაწილები კი (გენერალ დავით ართმელაძის მეთაურობით) - მდინარის მარჯვნივ, მთიანი რელიეფის მქონე ადგილებზე.

1919 წლის 5 მარტს, დილით, აწყურზე შეტევა დაიწყო. ერთსაათიანი საარტილერიო მომზადებისა და ცხარე ბრძოლის შემდეგ სერვერ-ბეგის „ისლამური არმიის“ ქვედანაყოფებმა პირი იბრუნეს და უკან, ახალციხისაკენ დაიხიეს. როგორც თვითონ გენერალი გიორგი კვინიტაძე იხსენებს თავის ცნობილ წიგნში – „ჩემი მოგონებები საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში“, ამ ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმ ფაქტორმა, რომ ქართული ჯარების რიცხოვნობა, მტერთან შედარებით, საკმაოდ ჭარბი იყო. ქართველებს ხელში ჩაუვარდათ საკმაოდ დიდი სამხედრო ტროფეი, გარდა ამისა, ტყვედ აიყვანეს მტრის 20-მდე ჯარისკაცი და ერთი ოფიცერი.

გიორგი კვინიტაძემ ოფიცრების თათბირიც ჩაატარა და საომარი მოქმედებების შუქ-ჩრდილებზეც ისაუბრა. მან ყურადღება გაამახვილა და დადებითად შეაფასა საინჟინრო ოცეულის მოქმედება (შტაბს-კაპიტან მარინაშვილის მეთაურობით), როგორც მტრის მიერ აფეთქებული ხიდების აღდგენის, ასევე განნაღმვის საქმეში.

ახალციხის გათავისუფლებას ძალიან დიდი პოლიტიკური და სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა: ჯერ ერთი, ქართული არმიის წარმატებულმა მოქმედებამ (თუნდაც ლოკალური მასშტაბით), სამცხის რეგიონის მოსახლეობას, საქართველოს ხელისუფლების მიმართ, იმედი დაუბრუნდა; მეორე - თავის მხრივ, ხელისუფლებამ, შეიძლება ითქვას, გარკვეული პოლიტიკური დივიდენდები მოიპოვა: ნოე ჟორდანიას მთავრობას უკვე შეეძლო განეცხადებინა, რომ ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა გამარჯვებისათვის. გარდა ამისა, ქართულ საზოგადოებას სოჭის ოლქის დაკარგვის შედეგად მიღებული არანაკლები ტრამვა ახალციხის დაბრუნებამ მეტ-ნაკლებად მოუშუშა.

ახალციხის გათავისუფლების შემდეგ საქართველოს შეიარაღებული ძალების ნაწილებმა ქალაქის ახლო-მახლო სოფლები (ქვემო ფოცხოვის ზონაში), თურქული ორიენტაციის მქონე შეიარაღებული მუსულმანებისაგან ორიოდე დღის განმავლობაში გაწმინდეს. თვით ახალციხის მოსახლეობამ გარნიზონის უფროსის, გენერალ რატიშვილის ბრძანებით, ცეცხლსასროლი იარაღის ჩაბარებაც დაიწყო - ჩაბარდა თითქმის ოთხი ათასამდე შაშხანა. გარდა ამისა, ადგილობრივ ქართულ და სომხურ მოსახლეობას ნაწილობრივ დაუბრუნდა ოსმალოებისაგან გატაცებული ქონება. დახმარება აღმოუჩინეს ლტოლვილებსაც.

ქართული შეიარაღებული ნაწილების განლაგება შეტევის წინ ასეთი იყო: სახალხო გვარდიის ნაწილები (გენერალ-მაიორ სტეფანე ახმეტელის მეთაურობით) - მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ბორჯომ-ახალციხის გზატკეცილის გასწვრივ, სლესის ციხესთან ახლოს, რეგულარული არმიის ნაწილები კი (გენერალ დავით ართმელაძის მეთაურობით) - მდინარის მარჯვნივ, მთიანი რელიეფის მქონე ადგილებზე.

5 მარტს, დილით, აწყურზე შეტევა დაიწყო. ერთსაათიანი საარტილერიო მომზადებისა და ცხარე ბრძოლის შემდეგ სერვერ-ბეგის „ისლამური არმიის“ ქვედანაყოფებმა პირი იბრუნეს და უკან, ახალციხისაკენ დაიხიეს. როგორც თვითონ გენერალი გიორგი კვინიტაძე იხსენებს თავის ცნობილ წიგნში - „ჩემი მოგონებები საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში“, - ამ ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმ ფაქტორმა, რომ ქართული ჯარების რიცხოვნობა, მტერთან შედარებით, საკმაოდ ჭარბი იყო. ქართველებს ხელში ჩაუვარდათ საკმაოდ დიდი სამხედრო ტროფეი, გარდა ამისა, ტყვედ აიყვანეს 20-მდე მტრის ჯარისკაცი და ერთი ოფიცერი.

როგორც ავიადაზვერვის შედეგად გაირკვა, სერვერ-ბეგის ახალციხურ გარნიზონს არტაანიდან მაშველი ძალა და შეიარაღება (ქვემეხები და ტყვიამფრქვევები) მოსდიოდა, ამიტომ, 6 მარტს, ქართულმა სამხედრო დაჯგუფებამ, ახალციხისკენ შეტევა ელვისებურად გააგრძელა და 7 მარტს, დილით, ქალაქი ახალციხე, შეიძლება ითქვას, უბრძოლველად დაიკავა - „ისლამისტთა არმიის“ ნაწილები და თვითონ სერვერ-ბეგი არტაანისაკენ გაიქცნენ. სხვათა შორის, როგორც გიორგი კვინიტაძე წერს, „კავალერია რომ მყოლოდა, სერვერ-ბეგი და სხვა სამშობლოს მტრები - გათურქებული ქართველები ახალციხიდან ვერ გამასწრებდნენო“.

ქართული ჯარების სარდალს ახალციხის ადგილობრივი მოსახლეობა, მათ შორის მუსულმანი ქართველების მნიშვნელოვანი ნაწილიც, სიხარულით შეხვდა. იმავე დღესვე გადაწყდა ადგილობრივი ხელისუფლების დროებითი ორგანოების ჩამოყალიბებისა და ქალაქის სამხედრო გარნიზონის დისლოცირებასთან დაკავშირებული საკითხები.

ახალციხიდან ჯარის ნაწილები გაიგზავნა ასპინძასა და ახალქალაქშიც, რომელიც ქართველმა მებრძოლებმა 21 მარტს დაიკავეს. აღდგა მაზრის ადმინისტრაცია, კომუნიკაციები, სატელეფონო კავშირი ახალციხესა და თბილისთან. მეორე დღეს იქ ავტომობილით ჩავიდა გენერალი კვინიტაძე და პოზიციები შეამოწმა.

გენერალმა გიორგი კვინიტაძემ კარგად უწყოდა, რომ ახალ-



ყარსის ვალის (მმართველის) რეზიდენცია. ხელშეკრულებაზე ხელმოწერა 1921 წლის 13 ოქტომბერს. (თურქი მხატვრის ნახატი)

ციხეს მთავარი საფრთხე კვლავ არტაანიდან და ყარსიდან ემუქრებოდა. ამიტომაც მან გადაწყვიტა ჯარების გადაადგილება არტაანის მიმართულებით, ზემო ფოცხოვის ზონაში.

იმ ხანებში საველე დაზვერვის შედეგად ცნობილი გახდა, რომ ზემო ფოცხოვის მსხვილ სოფელ დიგურში მოწინააღმდეგე იარაღს იმარაგებდა და რაღაც პროვოკაციას ამზადებდა. „8 აპრილს ქართული სამხედრო ნაწილების მე-6 პოლკმა დიგური ბრძოლით დაიკავა. მტერი გაიქცა. ჩვენს ჯარისკაცებს ხელში ჩაუვარდათ იარაღის საწყობი - 5 დაზგის ტყვიამფრქვევი, 25 შაშხანა, 3 ჰაუბიცა და 17 ყუთი ზარბაზნის ყუმბარები“, - ფრონტიდან თბილისში გამოგზავნილი ასეთი ცნობა დაიბეჭდა გაზეთ „სახალხო საქმეში“ 1919 წლის 10 აპრილს.

დავუბრუნდეთ ისევ ახალციხე-არტაანის სამხედრო თეატრს. ფრონტის შტაბმა შეიმუშავა შეტევის გეგმა, რომელიც ორი მიმართულებით უნდა განხორციელებულიყო: პირველი - ახალციხიდან, ზემო ფოცხოვისა და ხანიორის უღელტეხილის გავლით და, მეორე - ასპინძა-ახალქალაქიდან, ზურზუნის გავლით. ოპერაციის გეგმის შედგენისას გათვალისწინებული იქნა მოსალოდნელი სირთულეებიც - ორივე მიმართულებით არსებობდა გზატკეცილები, მაგრამ საკმაოდ მთიანი რელიეფური პირობები და უღელტეხილზე არსებული თოვლი, წინსვლას აფერხებდა. გარდა ამისა, ქართული სამხედრო დაჯგუფების რიცხოვნობა მნიშვნელოვნად შემცირდა როგორც დაჭრილებისა და ავადმყოფების გამო, ასევე გვარდიის ნაწილების თბილისში დაბრუნების შედეგადაც. აღნიშნულის გათვალისწინებით, გიორგი კვინიტაძეს მხოლოდ 3 ათასი ჯარისკაცილა ჰყავდა. ისე ჩანდა, რომ არტაანის ოპერაციის განხორციელება რეგულარული ჯარის მხრებზე გადავიდოდა. საბედნიეროდ, კავალერიით შევსება, ბოლოს და ბოლოს, მიღწეული იქნა.

ყველაზე რთული საველე პირობები პირველი მიმართულებით იყო, რომელიც ხანიორის უღელტეხილზე გადიოდა. ამ გზით არტაანამდე დაახლოებით 80-100 კილომეტრი იყო. მართალია, გზა არსებობდა, მაგრამ ზოგ ადგილას საშინლად დანგრეული და გაუვალიც კი იყო, განსაკუთრებით, თოვლიან უღელტეხილზე. ამიტომაც გადაწყდა, რომ ჯარების საკვები პროდუქტებითა და ტყვია-წამლით მომარაგება ძირითადად ახალქალაქიდან, შედარებით კარგი გზატკეცილით, სატვირთო ავტომობილებით მომხდარიყო.

ახალციხე-არტაანის მიმართულებით მოქმედი სამხედრო ნაწილების მეთაურად გენერალი დავით ართმელაძე დაინიშნა, ხოლო ახალქალაქ-არტაანის მიმართულებით - გენერალი დავით სუმბათაშვილი. ხანიორის უღელტეხილისაკენ მიმავალ ჯარს ებრძანა, – თან 10 დღის საკვები პროდუქტები წაეღო.

არტაანის ოპერაცია 14 აპრილს დაიწყო. ქართულმა ჯარმა განსაკუთრებით დიდი ენერგია და გამძლეობა გამოიჩინა - მხედრები ვერც უგზოობამ შეაჩერა და ვერც თოვლიანმა ხანიორის უღელტეხილმა. 18 აპრილს ორივე მიმართულების ნაწილები გაერთიანდნენ, ხოლო 19 აპრილს არტაანის მისადგომებთან დაბანაკებულ მტერს პირველი გამანადგურებელი დარტყმა მიაყენეს. ცხარე ბრძოლის შემდეგ, ქალაქი არტაანი საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დაიკავეს.

არტაანის ოლქში მომხდარი ბრძოლების შედეგად მოშლილი კომუნიკაციების გამო სატელეფონო კავშირი ახალციხესთან და ახალქალქთან ცოტა დაგვიანებით აღდგა, თუმცა ამ მცირე დაგვიანებამაც ფრონტის სარდალი საკმაოდ შეაშფოთა. კვინიტაძის ბრძანებით, შექმნილი ვითარების გასაგებად, არტაანში თვითმფრინავი გაიგზავნა. პილოტმა სეხნიაშვილმა დავალებას თავი კარგად გაართვა: საფრთხის მიუხედავად, არტაანში ჩაფრინდა, ქართული ჯარის მეთაურობას შეხვდა და, შემდეგ, უკან დაბრუნებისას, ძრავის უწესრიგობის გამო, შედარებით ახლო მანძილზე მდებარე ახალქალაქში დაეშვა, იქიდან კი გენერალ-გუბერნატორს (ფრონტის სარდალს) არტაანის დაკავების შესახებ სატელეფონო შეტყობინება გაუგზავნა. ორი დღის შემდეგ, თვითონ გენერალი გიორგი კვინიტაძე, საავტომობილო კოლონასთან ერთად, ზურზუნის გავლით, არტაანში ჩავიდა და იქ მყოფ ქართულ გარნიზონს საკმაო რაოდენობით სურსათი, იარაღი და პროვიანტი ჩაუტანა.

ამრიგად, ახალციხე-არტაანის სამხედრო ოპერაცია დასრულდა. როგორც აღვნიშნეთ, რა თქმა უნდა, მას ვერ შევადარებთ პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე განხორციელებულ ოპერაციებს, მაგრამ მას საქართველოსთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა - საქართველოს ჯარმა სამშობლოს უძველესი ქართული მიწა-წყალი შემოუერთა და იქ მტკიცე წესრიგი დაამყარა. მოგვიანებით აღდგა სამოქალაქო მმართველობის ორგანოები, სასამართლოები და არტაანმა, საქართველოს სხვა მხარეების მსგავსად, ჩვეულებრივი ცხოვრება დაიწყო.

**– რუსეთისაგან სრული დამოუკიდებლობის მოპოვების შემთხვევაში, შეძლებდა თუ არა თავისუფალი და დემოკრატიული საქართველო ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას?**

საქართველომ რუსეთისაგან სრული დამოუკიდებლობა 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულებით მოიპოვა. ამ დოკუმენტის პირველი მუხლის თანახმად,

გაგრძელება მე-6 გვ.

◀ დასაწყისი გვ. 3

# გვახსოვდეს ისტორიის

„რუსეთი უსიტყვოდ აღიარებს საქართველოს დამოუკიდებლობას და უარს ამბობს ყოველგვარ უფლებებზე ქართველი ხალხისა და მისი ტერიტორიის მიმართ“. მეორე მუხლით, რუსეთი „ვალდებულობს, არ ჩაერიოს საქართველოს საშინაო საქმეებში“. მესამე მუხლში მოცემულია საქართველოსა და რუსეთის ტერიტორიების გამმიჯნავი ხაზი: „სახელმწიფო საზღვარი საქართველოსა და რუსეთს შორის გადის შავი ზღვიდან მდინარე ფსოუს გასწვრივ ახახჩის მთამდე, გადადის ხსენებულ ახახჩისა და აგანეტის მთაზე და მიდის ყოფილ შავი ზღვის, ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიების ჩრდილოეთი საზღვრით ზაქათალის ოლქის აღმოსავლეთ საზღვრამდე“.

რასაკვირველია, რუსეთი რომ არ დასხმოდა თავს საქართველოს, ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას შეინარჩუნებდა და მნიშვნელოვან განვითარებას მიაღწევდა. თვითონ განსაჯეთ: 1920 წლის დეკემბერში საქართველომ განაცხადი შეიტანა ერთა ლიგის წევრად მიღების მიზნით. მართალია, იმ ხანებში, ლიგის ასამბლეის სხდომაზე, კენჭისყრის დროს, ხმათა უმრავლესობით (24 სახელმწიფოდან 10 მომხრე, 13 წინააღმდეგი, თავი შეიკავა ოთხმა), საქართველო ერთა ლიგის წევრად არ მიიღეს, მაგრამ ცხადი იყო, რომ ერთი წლის შემდეგ, ჩვენი ქვეყნის ლიგაში მიღებას, წინ არაფერი დაუდგებოდა. 1921 წლის თებერვლის დასაწყისისათვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა სრულფასოვან სახელმწიფოს წარმოადგენდა, მისი დამოუკიდებლობა იურიდიულად აღიარეს ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა, მოქმედებდნენ საელჩოები და საკონსულოები... საქართველოს კონსტიტუცია სრულად უზრუნველყოფდა ქვეყნის მოქალაქეების უფლებების დაცვას და ადმინისტრაციულ დაყოფას, ავტონომიური ერთეულების ჩათვლით (ბათუმის ოლქი - აჭარა, ანუ სამუსულმანო საქართველო, სოხუმის ოკრუგი - აფხაზეთი და ზაქათალის ოლქი - საინგილო). დაცული იყო ეროვნულ უმცირესობათა უფლებები, რაიმე სეპარატისტული მოძრაობა აღარ შეინიშნებოდა.

ასე რომ, ვიმეორებ: რომ არა საბჭოთა რუსეთის თავდასხმა და კომუნისტური რეჟიმის დამყარება, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას წინ კარგი პერსპექტივები ჰქონდა.

**— შეეძლო თუ არა იოსებ სტალინს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დახმარების გაწევა?**

თუ თქვენ მხედველობაში გაქვთ 1918-1921 წლები, იოსებ სტალინს იმ პერიოდში ეს მიზანი საერთოდ არ ჰქონია. იგი საქართველოს არსებობას საბჭოურ, კომუნისტურ-ბოლშევიკურ სივრცეში განიხილავდა, მსოფლიო რევოლუციის იდეების საფუძველზე. მეტსაც გეტყვით - 1922 წელს სტალინისეული „ავტონომიზაციის“ გეგმის თანახმად (მოგეხსენებათ, იგი მაშინ რსფსრ-ს ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარი იყო), ყველა რესპუბლიკა, მათ შორის საქართველოს სსრ-ც, რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით უნდა გაერთიანებულიყო, ანუ უფრო დაბალი სტატუსით, ვიდრე მოკავშირე რესპუბლიკა.

რაც შეეხება მომდევნო პერიოდებს, იოსებ სტალინმა 1937 წლის საბჭოთა კონსტიტუციაში მოკავშირე რესპუბლიკების უფლებები გააფართოვა - ყოველი მოკავშირე რესპუბლიკა „სუვერენულ და დამოუკიდებელ“ სახელმწიფოდ ითვლებოდა და მას სსრ კავშირის შემადგენლობიდან „თავისუფლად გასვლის“ უფლება ჰქონდა, მაგრამ




საქართველოს არმიის მიერ განხორციელებული ახალციხე-არტაანის სამხედრო ოპერაცია
1919 წლის 7 მარტი - 20 აპრილი

ეს უფლება პრაქტიკაში რეალიზების პრეცედენტი არ მომხდარა. ვერც გაბედავდნენ! აი, ასე ჰქონდა წარმოდგენილი იოსებ სტალინს საქართველოს დამოუკიდებლობა. მისი სიცოცხლის წლებში საქართველოს სრული დამოუკიდებლობის საკითხი აღარ დამდგარა, თუმცა, იყო მომენტი, რომ იგი ყველა მოკავშირე რესპუბლიკის გაეროში გაწევრიანებას გეგმავდა. საბოლოო ჯამში, გაეროს წევრებად მოკავშირე რესპუბლიკებიდან მხოლოდ უკრაინის და ბელორუსიის სსრ-ები მიიღეს, მაგრამ ამით ისინი დამოუკიდებლები არ გამხდარან.

**— ერთი წუთით დავუშვათ: რომ არ მომხდარიყო რუსეთში ბოლშევიკური რევოლუცია (სახელმწიფო გადატრიალება), საქართველო „კავის რუსეთთან“ ერთად „კავის საქართველოდ“ დარჩებოდა?**

1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკურ რევოლუციას წინ 1917 წლის თებერვლის ე.წ. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია უძღოდა - რომანოვების მონარქია დაემხო და რუსეთი რესპუბლიკად გამოცხადდა. დროებითი მთავრობის 1917 წლის 3 მარტის დეკლარაციით, უნდა დაწყებულიყო კონსტიტუციის პროექტის შემუშავება, რომლის მიხედვით, რუსეთის რესპუბლიკის ის რეგიონები, რომლებიც კომპაქტურად სხვადასხვა ერებით (ხალხებით) იყო დასახლებული, მნიშვნელოვანი ავტონომიური უფლებებით ისარგებლებდნენ, ანუ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კავკასიაში გამოცხადდებოდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ავტონომიები, ერთიანი რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში. სხვათა შორის, როგორც უკვე ზემოთ ვთქვი, საბოლოო ჯამში საბჭოთა კავშირის მოწყობაც, ფაქტიურად, ავტონომიზაციის პრინციპებზე განხორციელდა.

რაც შეეხება „კავის რუსეთს“ და „კავის საქართველოს“: ამ შემთხვევაშიც მხოლოდ ვარაუდები შეიძლება გამოვთქვათ. პირველი მსოფლიო ომის წინ რუსეთი საკმაოდ დინამიური განვითარებით გამოირჩეოდა. ალბათ, გახსოვთ, რომ ისტორიის საბჭოთა სახელმძღვანელოებში, როცა მრეწველობის და სხვა დარგების მონაცემთა შედარება ხდებოდა ხოლმე, ათვლის წლად 1913 წელს იღებდნენ ხოლმე, ანუ 1913 წლისთვის რუსეთმა განვითარების ყველაზე მაღალ დონეს მიაღწია. რუსული ოქროს რუბლი მსოფლიოში მტკიცე კონვერტირებად ვალუტას წარმოადგენდა. ბევრ დარგში რუსეთი ევროპის ქვეყნებს წინ უსწრებდა, თუმცა, რასაკვირველია, ჩამორჩენაც ბევრ სფეროში ჰქონდა. ფაქტია, რომ რუსეთს პირველმა მსოფლიო ომმა დიდი ზარალი მიაყენა. ბოლშევიკური რევოლუცია რომ არ მომხდარიყო, რუსეთი, როგორც ანტანტის მოკავშირე, ომიდან გამარჯვებული გამოვიდოდა. გამარჯვებულები კი, ტრადიციულად, მტკიცე პოლიტიკური ავტორიტეტით ჯილდოვდებიან, დამარცხებულისაგან კი რეპარაციებს იღებენ.

შეიძლება ითქვას, რომ რუსეთი ბოლშევიკების გარეშეც განვითარდებოდა. რუსეთს უდიდესი რესურსები ჰქონდა, რაც ბოლშევიკებმა კარგად გამოიყენეს. განა „ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა“ რომ დარჩენილიყო, იმ რესურსებს არ გამოიყენებდა? გამოიყენებდა და წარმატებასაც მიაღწევდა. ბუნებრივია, პროგრესი შესამჩნევი იქნებოდა კავკასიაშიც, საქართველოშიც, ანუ საქართველო „კავის საქართველოდ“ არ დარჩებოდა. შეიქმნებოდა ახალი უმაღლესი სასწავლებლები, განვითარდებოდა კულტურაც, მრეწველობაც, სოფლის მეურნეობაც...

ეს ნათლად აჩვენა 1918-21 წლების დამოუკიდებლობამაც: იმ დროს საქართველო, საბჭოთა რუსეთთან შედარებით, უფრო განვითარებული და დემოკრატიული სახელმწიფო იყო, ქართული ბონი საბჭოთა რუბლზე ბევრად მტკიცე ფული იყო. ევროპელი პოლიტიკოსები საქართველოს განვითარების დიდ პერსპექტივას უწინასწარმეტყველებდნენ.

**— იყო თუ არა შესაძლებელი, რომ საქართველოში ავტონომიური წარმონაქმნები არ შექმნილიყო? რამ აიძულა ხელისუფლება ეს ნაბიჯი გადაედგა?**

პირველი ავტონომიური წარმონაქმნები საქართველოს ტერიტორიაზე, ფაქტიურად და იურიდიულად, 1918-21 წლებში გაჩნდნენ, როცა საქართველოს კონსტიტუციაში აფხაზეთის (სოხუმის ოკრუგის), აჭარის (ბათუმის ოლქის) და საინგილოს (ზაქათალის ოლქის) ავტონომიების სტატუსი ჩაიწერა. ყოველი ავტონომიის შექმნას თავისი სპეციფიკური მიზეზი ჰქონდა, თუმცა, იყო ძირითადიც, - ეთნიკური და რელიგიური განსხვავება საქართველოს დანარჩენი მოსახლეობისაგან. ასე იყო სოხუმის ოკრუგი (აფხაზი მოსახლეობით), ბათუმის ოლქი (მუსულმანი ქართველებით დასახლებული, რომელთაც თბილისმა ავტონომია ჯერ კიდევ, ოფიციალურად 1918 წლის დეკემბერში აღუთქვა), ზაქათალის ოლქი (მუსულმანი ქართველებით, - ინგილოებით დასახლებული, თუმცა ამ ტერიტორიას საქართველოს ხელისუფლება რეალურად ვერ აკონტროლებდა). გარდა ამისა, აჭარის ავტონომიის სტატუსმა საერთაშორისო ხასიათიც მიიღო, - 1921 წლის 16 მარტის და იმავე წლის 13 ოქტომბრის მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებებით.

რაც შეეხება საბჭოთა პერიოდს, საქართველოს სსრ-ის 1936 და 1978 წლების კონსტიტუციებშიც აჭარას და აფხაზეთს ავტონომიის სტატუსი ჰქონდათ. იგივე სტატუსი დარჩა 1995 წლის კონსტიტუციითაც.

**— რა როლი შეასრულა იოსებ სტალინმა მოსკოვში, 1921 წლის 16 მარტს დადებული რუსეთ-თურქეთის ძმობისა და მეგობრობის ხელშეკრულების გაფორმებაში? შეინიშნებოდა თუ არა სტალინის ჩარევა ან გავლენა ყარსში გამართულ თურქეთისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების დელეგაციების მოლაპარაკებაში?**

მოდით, მოვლენების ასახვა ცოტა შორიდან დავიწყოთ, რათა იმდროინდელი პროცესები მეტნაკლებად სრულად წარმოვიდგინოთ.

1920 წლისთვის ვლადიმერ ლენინისა და მუსტაფა ქემალის ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა: ორივე ევროპულ ინტერვენციას ებრძოდა, ორივეს ანტანტა მტრად მიაჩნდა. ბუნებრივია, საერთო პრობლემებმა საგარეო-პოლიტიკურ ინტერესთა დამთხვევა გამოიწვია - მოსკოვმა ქემალისტებს საბრძოლო იარაღი და ფინანსები მიაშველა. ბოლშევიკებს უფრო შორს მიმავალი მიზნები ჰქონდათ - საბჭოთა რუსეთი ქემალისტურ მთავრობას ახლო აღმოსავლეთში ბოლშევიკური იდეების გატარების (მსოფლიო პროლეტრული რევოლუციის) საშუალებად განიხილავდა. სულ სხვაგვარი იყო საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია - მკვეთრად გამოხატული დასავლური ვექტორით. რა-




საკვირველია, როგორც ქემალისტები, ასევე კომუნისტები ქართველ სოციალ-დემოკრატებს ეჭვით უყურებდნენ და თბილისის დიპლომატია აშკარად არ მოსწონდათ.

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც თურქ ქემალისტებსა და რუს კომუნისტებს აერთიანებდათ: ორივენი ცდილობდნენ ყოფილი იმპერიების რაც შეიძლება მეტი ტერიტორია გაეკონტროლებინათ. უფრო მეტიც, ანგორის მთავრობა მოქმედებდა 1918 წლის 4 ივნისს ბათუმში საქართველოსა და სომხეთთან დადებული კაბალურ ხელშეკრულებათა დებულებებით, როგორც საქართველოს ისტორიულ აჭარა-ტაო-კლარჯეთს, ასევე სომხურ – ყარსსა და ყაგიზმანს (ანუ აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ვილაიეთებს), თავის ტერიტორიებად მიიჩნევდა. ქემალისტებმა თავიანთი ამბიცია იურიდიულადაც დააფიქსირეს სივასის კონგრესზე და აიძულეს იმ დროისათვის უკვე ინგლისელების ხელში მარიონეტად ქცეული ოსმალეთის პარლამენტი (მეჯლისი), 1920 წლის იანვარში მიეღო ე.წ. ეროვნული აღთქმა, ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლითაც თურქეთის მომავალი საზღვრები და სახელმწიფო მოწყობა განისაზღვრა. ამ დადგენილებაში ბათუმის ოლქი თურქეთის ტერიტორიად არის წარმოდგენილი, რომელიც „დედა-სამშობლოს“ ჯერ კიდევ 1918 წლის ივნისში „დაუბრუნდა“.

„ეროვნული აღთქმა“ თურქეთისთვის დღესაც მოქმედი იურიდიული დოკუმენტია, რადგან სწორედ მასშია დაფიქსირებული თანამედროვე თურქეთის ტერიტორია.

თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა სულ უფრო მტკიცდებოდა. 1920 წლის დასასრულს გადაწყდა მეგობრობის ხელშეკრულების დადებაც. საინტერესოა, რომ ბაქოს გავლით მოსკოვს მიმავალი ანგორის მთავრობის დელეგაცია იუსუფ ქემალის მეთაურობით, ბათუმიდან თბილისში, 4 თებერვალს, რუსეთის თავდასხმამდე რამდენიმე დღით ადრე ჩამოვიდა. საქართველოს ხელისუფლებამ თურქები დიდი პატივით მიიღო, გაიმართა ხანმოკლე მოლაპარაკება, რომლის დროსაც ქემალისტებმა დაადასტურეს ახლო მომავალში საქართველოსთან ხელშეკრულების დადების სურვილი.

საბჭოთა სარკინიგზო ტრანსპორტის ცუდი მუშაობის გამო თურქეთის დელეგაციამ მოსკოვში ჩასვლა დააგვიანა. როგორც იქნა, 19 თებერვალს, თურქები მოსკოვში ჩავიდნენ, ხოლო რუსეთ-თურქეთის კონფერენცია 26-ში დაიწყო. ხელშეკრულების პროექტის შემუშავებისას მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დებულება უნდა ყოფილიყო თურქეთის ტერიტორიისა და მისი აღმოსავლეთის საზღვრის აღიარება რუსეთის მიერ.

ამ დროს კი საქართველოში ყოველი მხრიდან შემოსეულმა რუსეთის ჯარებმა თბილისი დაიკავეს, მთავრობა ევაკუირებულია ჯერ ქუთაისში, შემდეგ ბათუმში... მარტის დასაწყისში ანგორიდან (ანკარიდან) მიღებული დირექტივების საფუძველზე იუსუფ ქემალმა რუსეთის მთავრობას ბათუმის, ართვინისა და არტაანის, აგრეთვე ყარსის თურქეთის შემადგენლობაში აღიარება მოსთხოვა. ამით მან ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ეს ქალაქები მხოლოდ და მხოლოდ თურქეთს ეკუთვნის...

რ ო გ ო რ ც ➔

# გაკვეთილები!

←

თურქული, რუსული და სომხური წყაროებით ირკვევა, გიორგი ჩიჩერინი წინააღმდეგი ყოფილა, რომ თურქეთს ყარსის ოლქი გადასცემოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში სომეხთა ლობისტად წოდებული ჩიჩერინი მართლაც „კბილებით იცავდა“ სომეხთა ინტერესებს, კატეგორიულად მოითხოვდა თურქებს დაებრუნებინათ ყარსი და ალექსანდროპოლი (დღევანდელი გიუმრი, ყოფილი ლენინაკანი), რომლებიც ქემალისტებმა სომხეთთან 1920 წლის აგვისტოს ბოლოს დაწყებული ომის დროს ჩაიგდეს ხელში. ცნობილი რუსი დიპლომატის ამგვარ მოქმედებას თურქეთის დელეგაცია ძალზე გაუნაწყენებია, მოლაპარაკების გაგრძელებაზე უარიც კი უთქვამთ. საქართველოს პატრონი კი არც ანკარაში და არც მოსკოვში არავინ იყო. ჩვენი მოსკოველი ელჩი გერასიმე მახარაძე ჩეკამ დააპატიმრა, ხოლო ანკარაში საქართველოს ელჩს სიმონ მდივანს მუსტაფა ქემალი სიტყვით დახმარებას ჰპირდებოდა, საქმით კი, პირიქით აკეთებდა - ულტიმატუმი წამოგვიყენეს, რომ ჩვენს სამხედრო გარნიზონებს უმოკლეს ვადაში ართვინი და არტაანი დაეტოვებინათ. და აი, საქართველოსათვის ასეთ დრამატულ ჟამს, არენაზე გამოჩნდა კავკასიის პრობლემათა მცოდნე, რუსეთის ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარი იოსებ სტალინი, იგივე კობა.

ვლადიმერ ლენინს სულაც არ სურდა თავისი თურქი კოლეგის, მუსტაფა ქემალის განაწყენება, რადგან კრემლი თურქეთს, როგორც უკვე ვთქვით, აღმოსავლეთში თავის მნიშვნელოვან რევოლუციურ მოკავშირედ მიიჩნევდა. როგორც თურქი მკვლევარები ამტკიცებენ, მოლაპარაკების დროს, წარმოქმნილი უთანხმოების გადაჭრაში, მთავარი როლი სწორედ იოსებ სტალინს შეუსრულებია. ამასვე ადასტურებენ სომეხი ისტორიკოსებიც. 9 მარტს, გვიან ღამით, ლენინმა თურქებთან საკითხის გარკვევა იოსებ სტალინს დაავალა, 10 მარტს იუსუფ ქემალმა თავისი მოთხოვნები ბათუმ-ართვინისა და ყარსის თურქეთის შემადგენლობაში აღიარებაზე უკან წაიღო, ორიოდე დღის შემდეგ კი ხელშეკრულების პროექტზე საზეიმო ხელმოწერის თარიღად 16 მარტი დაინიშნა.

იბადება კითხვა: მაინც რა მოხდა 9 მარტის ღამეს ისეთი, რამაც თურქების პრეტენზიები დააცხრო? ზუსტად თქმა ძნელია, მაგრამ შედეგი გვაფიქრებინებს, რომ კობამ პრიორიტეტი მიანიჭა ბათუმს, როგორც შავიზღვისპირეთის უმნიშვნელოვანეს ნავსადგურსა და ბაქოს ნავთობსადენის ბოლო მონაკვეთის შენარჩუნებას, სხვა ქართული მიწები კი, სომხურთან ერთად, თურქებს დაუთმო. თუმცაღა, ბათუმის შენარჩუნებაც საეჭვო კომპრომისად გამოიყურება: თურქებს, თითქოსდა, უთქვამთ, ბათუმი ჩვენია, მისი სიუზერენები ჩვენ ვართ, მაგრამ კარგი, გითმობთ, ოღონდ აჭარას ავტონომიის სტატუსი უნდა მიანიჭოთო.

რასაკვირველია, კობამ კარგად იცოდა, რომ ისტორიული ტაოკლარჯეთი ქართული ცივილიზაციის აკვანი იყო - მას ხომ სასულიერო განათლება ჰქონდა მიღებული და ისიც იცოდა, რომ თურქეთისათვის გადაცემულ ტერიტორიაზე უამრავი ქართული ქრისტიანული ძეგლი იყო შემორჩენილი? მაშ, რატომ მოხდა, რომ შატბერდი, ბერთა, ანჩი, პარხალი და იშხანი მუსლიმანებს დარჩათ? პასუხის გაცემა ძნელია. შეიძლება სტალინი ფიქრობდა, რომ ეს მხოლოდ დროებითია, იმჟამად აუცილებელი იყო თურქეთთან მეგობრობის შენარჩუნება, ვითარებას კი მომავალში გამოასწორებდა. ასე იყო თუ ისე, საქართველომ ტერიტორიის თითქმის ერთი მესამედი დაკარგა.

მოვლენებს თუ წინ გავუსწრებთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ იოსებ სტალინმა მეორე მსოფლიო ომის მიწურულს, საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიების საკითხი მართლაც გაიხსენა და თურქეთს მათი დაბრუნება ოფიციალურად მოსთხოვა... ალბათ, მძიმე ტვირთად აწვა 1921 წლის 9 მარტის ღამით გაწეული კომპრომისი თურქებთან.

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, 1921 წლის 16 მარტს რსფსრ-სა და თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიერ, მთავრობებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირველი მუხლით, დადგინდა თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი (ე.ი. საქართველოსთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან), ხოლო მეორე მუხლით - აჭარის ავტონომია. დოკუმენტით განისაზღვრა ნახჭევნის მხარის სტატუსიც.

რაც შეეხება 1921 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ყარსში გამართულ მოლაპარაკებას, ერთი მხრივ, თურქეთისა და, მეორე მხრივ, ამიერკავკასიის რესპუბლიკების - საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სსრ-ების გაერთიანებულ დელეგაციებს შორის, აქ იოსებ სტალინის როლი არ შეიმჩნევა, თუმცა, საჭიროც აღარ იყო, რადგანაც საქმეში რუსეთის კომპარტიის კავკასიის ბიურო ჩაერია სერგო ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით. 1921 წლის სექტემბრის დასაწყისში, ყარსის მოლაპარაკების წინ, კავბიურომ მკაცრი დირექტივა მისცა ამიერკავკასიის რესპუბლიკების გაერთიანებულ დელეგაციას, რომ დაგეგმილი ხელშეკრულების პროექტში ზუსტად გადატანილიყო მოსკოვის ხელშეკრულების პირველი, მეორე და მესამე მუხლები, რომლებიც თურქეთისათვის ტერიტორიების გადაცემას და ახალი საზღვრების გატარებას ეხებოდა, რაც შესრულდა კიდეც.

**– მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როგორც ამბობენ, იოსებ სტალინს გადაწყვეტილი ჰქონდა ისტორიული ტაო-კლარჯეთის შემოერთება. როგორია თქვენი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით?**

ტაო-კლარჯეთისა და ლაზისტანის საკითხი საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობებში ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე დადგა.

1930-იანი წლების ბოლოს, პრეზიდენტ მუსტაფა ქემალ ათა–თურქის სიკვდილის შემდეგ, საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობებში გაცივების“ სიმპტომები გაჩნდა: ანკარამ გეზი დასავლეთთან ინტეგრაციაზე აიღო, დაიდო ურთიერთდახმარების შეთანხმება ინგლისთან და საფრანგეთთან. ამასთან, თურქეთი იძულებული იყო დიპლომატიურად „ეთამაშა“ ფაშისტურ გერმანიასთანაც და ანგარიში გაეწია მესამე რაიხის ინტერესებისთვის. სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირზე თავდასხმამდე ოთხი დღით ადრე, ხელი მოეწერა თურქეთ-გერმანიის მეგობრობისა და თავდაუსხმელობის ხელშეკრულებას. აქვე შევნიშნავთ, რომ მეორე მსოფლიო ომში თურქეთმა, მართალია ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, მაგრამ, სინამდვილეში, გერმანიას სამხედრო მრეწველობისა და ვერმახტისათვის საჭირო სტრატეგიული ნედლეულით ეხმარებოდა... გარდა ამისა, საბჭოთა კავშირთან ომში გერმანიის წარმატების შემთხვევაში, თურქეთი იმედოვნებდა კავკასიის რეგიონში შემოჭრასა და მის დაკავებას. 1941 წლის ივლისის შუახანებში საბჭოთა დაზვერვის მოპოვებული ცნობებით თურქეთის გეგმები კრემლისათვის აშკარა გახდა. ამიტომ, შესაძლო აგრესიის მოგერიების მიზნით, საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შეიქმნა ამიერკავკასიის ფრონტი. თურქეთის საზღვარზე ბათუმიდან არარატამდე განლაგდნენ 45-ე და 46-ე არმიის ნაწილები. იმავე პერიოდში, გერმანიის გეგმების ნეიტრალიზების მიზნით, დიდ ბრიტანეთთან შეთანხმებით, სპარსეთის (ირანის) ჩრდილოეთ ნაწილში ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ნაწილები შევიდნენ და დაიკავეს ქალაქები თავრიზი, ასტარა, არდებილი, ფეხლევი, რეშტი, მეშხედი, ხოი და ურმია (თურქეთის საზღვართან).

სპარსეთში საბჭოთა ჯარების შეყვანა საკმაოდ ადვილს ხდიდა თურქეთთან შესაძლო სამხედრო ოპერაციის წარმოებას. ზოგიერთი დოკუმენტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამ პერიოდში (1941 წლის მეორე ნახევარი), უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბი არ გამორიცხავდა ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების შეყვანას ძველ ქართულ პროვინცია ლაზისტანშიც (რიზე, ტრაპიზონი, გიუმიშანე, ორდუ). სავარაუდოა, რომ სწორედ მაშინ იქნა შემუშავებული რეკომენდაცია („სამახსოვრო") წითელი არმიის მებრძოლებისთვის, რომლის თანახმად, ლაზისტანის ტერიტორიაზე ჯარების შეყვანის შემთხვევაში, მოსახლეობის წინააღმდეგობა გამორიცხული არ იქნებოდა. თანაგრძნობა შეიძლება გამოხატულიყო მხოლოდ იმ ლაზებისაგან, რომლებიც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობდნენ... წინააღმდეგობის გაწევა ძირითადად მოსალოდნელი იყო რელიგიური ფანატიზმის ნიადაგზე. „სამახსოვროში" საუბარი იყო აგრეთვე იმაზე, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო საბჭოთა ჯარისკაცი თურქეთის ტერიტორიაზე: მკაცრი დისციპლინა, ლაზი ქალებისადმი და უფროსი ასაკის ადამიანებისადმი პატივისცემა და სხვ.

როგორც ჩანს, საბჭოთა კავშირი სპარსული პრეცედენტის გამეორებას ჯერ კიდევ 1941 წლის შემოდგომაზე ფიქრობდა - თურქეთის ტერიტორიაზე ჯარებს შეიყვანდა და საზღვარზე ერთგვარ ბუფერულ ზონას შექმნიდა. მართალია იმ ხანებში საბჭოთა ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა - წითელ არმიას უჭირდა, მტერი მოსკოვს და ჩრდილოეთ კავკასიას უახლოვდებოდა, ამიტომ ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების ნაწილი სასწრაფოდ სხვა ფრონტებზე გადაისროლეს...

გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის პირველ წლებში სახელმწიფო საზღვრის საქართველოს უბანზე დარღვევებმა მკვეთრად იმატა. როგორც უშიშროების ორგანოები და ამიერკავკასიის ფრონტის სარდლობა თვლიდნენ, ადიგენის, ახალციხის, ასპინძისა და ახალქალაქის რაიონებში დესტაბილიზებისა და საფრთხის ფაქტორს ადგილობრივი მცხოვრებლები - თურქული წარმოშობის პირები და მაჰმადიანი ქართველები (მესხები) წარმოადგენდნენ. შესაბამისად, მათ მასობრივად დააბრალეს თურქებთან თანამშრომლობა და 1944 წლის ნოემბერში შუა აზიაში გადაასახლეს. ოფიციალურად ეს ოპერაცია თურქეთ-საბჭოთა კავშირის სახელწიფო საზღვრის დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებად შეფასდა, თუმცა, აშკარად ჩანდა, რომ კრემლი, სამომავლოდ, რაღაცას ამზადებდა, ზურგის საიმედოობა სჭირდებოდა და ამიტომაც განახორციელა „მტრულად განწყობილი ელემენტების“ გასახლება.




იმ ხანებში საბჭოთა არმია უკვე ბულგარეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდა და უშუალოდ მიადგა თურქეთის საზღვარს. უკრაინის მესამე ფრონტის ჯარებს იმ დროს არმიის გენერალი ფიოდორ ტოლბუხინი სარდლობდა. აი, რას წერს თავის მემუარებში საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი აკაკი მგელაძე: „როცა ტოლბუხინის სარდლობით საბჭოთა ჯარები ბულგარეთში შევიდნენ, ფიოდორ ტოლბუხინმა იოსებ სტალინს დაურეკა და მოახსენა, რომ შეუძლია თურქეთის შემადგენლობაში არსებული ქართული მიწები გაათავისუფლოს. სტალინმა უთხრა, რომ, ჯერჯერობით, პოლიტიკური მოსაზრებით, ამის გაკეთების დრო არ მოსულა. ტოლბუხინს ეს საკითხი დიდხანს აწვალებდა და ფიქრობდა, რომ, იქნებ, როგორმე ამხანაგ სტალინს გადავათქმევინოო და, მოგვიანებით, ისევ დაურეკა. სტალინმა ცოტა მკაცრად უპასუხა: მოეშვი მაგაზე ფიქრს, ეს პოლიტიკური ავანტიურა იქნებაო. ჩემთვის რომ უმაღლეს მხედართმთავარს ნება მოეცა, თურქეთში ქართულ მიწებს 24 საათში გავათავისუფლებდი, მაგრამ, რასაკვირველია, სიტუაციის პერსპექტივას სტალინი უკეთ ხედავდა", - უთქვამს ტოლბუხინს აკაკი მგელაძისათვის პირადი საუბრის დროს.

არც არის გასაკვირი, რომ ტოლბუხინის გეგმა განხორციელებულიყო: 1944 წლის სექტემბრისათვის ბულგარეთში თავმოყრილი იყო 300 ათასზე მეტი საბჭოთა ჯარისკაცი, ოთხი ათასამდე ქვემეხი, 400 ტანკი და 1200 თვითმფრინავი! ეს იყო საუკეთესო, ბრძოლისუნარიანი და ომში გამობრძმედილი სამხედრო ნაწილები. თურქები იმ დროს ვერაფერს დაუპირისპირებდნენ უკრაინის მესამე ფრონტის ჯარებს.

1945 წლის 19 მარტს საბჭოთა კავშირის მთავრობამ განაცხადა, რომ თურქეთთან 1925 წელს დადებული ნეიტრალიტეტისა და მეგობრობის შეთანხმება აღარ შეესაბამებოდა ახალ ვითარებას და მოსკოვი მის დენონსაციას აპირებდა. ცხადია, ანკარის ინტერესებში მოსკოვთან ურთიერთობის გაფუჭება არ შედიოდა, ამიტომ თურქეთის ელჩმა სელიმ სარფერმა საგარეო საქმეთა მინისტრ ვიაჩესლავ მოლოტოვს ახალი შეთანხმების დადება შესთავაზა. ორთვიანი დიპლომატიური პაუზის შემდეგ „იქს“ დღეც დადგა: მოლოტოვმა სარფერს განუცხადა, რომ „ახალი შეთანხმების დადებამდე სასაზღვრო-ტერიტორიული საკითხი უნდა მოგვარებულიყო". სელიმ სარფერისათვის საზღვრების გადასინჯვის მოთხოვნა მოულოდნელი იყო, მან კატეგორიულად უარყო ტერიტორიული პრეტენზიები და ყველაფერი თავის მთავრობას ანკარაში აცნობა, ანკარამ კი თავის მოკავშირეს - დიდ ბრიტანეთს. ამ დროიდან საბჭოთა პრესაში ნელ-ნელა მატულობს თურქეთის პოლიტიკის მკაცრი კრიტიკა.

„დიდი სამეულის" პოტსდამის კონფერენციაზე (1945 წლის ივლისი), თურქეთის ტერიტორიული საკითხი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა 22 ივლისს, საღამოს 17 საათსა და 07 წუთზე დასვა. მან აღნიშნა, რომ თურქეთი ძალზე შეშფოთებულია საბჭოთა კავშირის მოთხოვნებით: „მე მსურს გენერალისიმუსის ყურადღება მივაპყრო ამ საკითხზე და განვაცხადო, რომ თურქეთის დაშინება არ შეიძლება. თურქეთი შეშფოთებულია ბულგარეთში საბჭოთა ჯარების თავმოყრით და საბჭოთა პრესაში დაწყებული კამპანიით... მსურს ვიცოდე საბჭოთა კავშირის პოზიცია ამ საკითხზე".

იოსებ სტალინმა სიტყვა ვიაჩესლავ მოლოტოვს გადასცა, რომელმაც უინსტონ ჩერჩილს საბჭოთა მოთხოვნები განუმარტა: „ჩვენი მხრიდან არის საკითხები, რომლებიც მოსაგვარებელია... ზოგიერთ ადგილზე საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვარს ჩვენ ვთვლით უსამართლოდ. მართლაც, 1921 წელს საბჭოთა სომხეთს და საქართველოს თურქეთმა წაართვა ტერიტორია, რომელიც მოიცავს ყარსის, ართვინისა და არტაანის ოლქებს... ამიტომ მე განვაცხადე, რომ სანამ სამოკავშირეო ხელშეკრულებას დავდებთ, მანამდე საჭიროა მოვაგვაროთ თურქეთის მიერ მიტაცებული საქართველოსა და სომხეთის მიწების ბედი და მათ ეს ტერიტორიები უკან დაუბრუნდეთ".

აშშ-ის პრეზიდენტის ჰარი ტრუმენის წინადადებით, ამ საკითხის განხილვა მეორე დღისთვის გადაიდო. 23 ივლისის სხდომაზე კი იოსებ სტალინმა ისტორიული სიტყვა წარმოთქვა: „გუშინ ჩერჩილი ამტკიცებდა, რომ რუსები თურქებს აშინებენო. გარწმუნებთ, რომ ბულგარეთში მყოფ ჩვენს ჯარებს თურქები არ დაუშინებიათ. იქნებ საზღვრების შესწორების წინადადებამ დააშინა თურქები? მაგრამ საკითხი ეხება იმ საზღვრების აღდგენას, რომლებიც პირველ მსოფლიო ომამდე არსებობდნენ. მხედველობაში მაქვს ყარსის რაიონი, რომელიც მანამდე სომხეთის შემადგენლობაში იყო და ართვინ-არტაანის რაიონი, რომელიც ასევე ომამდე საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა. ძველი საზღვრების აღდგენის საკითხი არ წამოიჭრებოდა, თურქებს რომ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება არ მოეთხოვათ. მოკავშირეობა კი ნიშნავს, რომ ჩვენ ვვალდებულობთ, დავიცვათ თურქეთის საზღვარი, ხოლო თურქეთი ასევე ვალდებულობს, დაიცვას ჩვენი საზღვარი. მაგრამ, ჩვენ ვთვლით, რომ საზღვარი ყარსისა და არტაანის რაიონში არასწორია და ასეც განვუცხადეთ თურქებს. თუ მათ სურთ ჩვენთან მოკავშირეობა, მაშინ საჭიროა გაასწორონ საზღვრები და თუ არ უნდათ, მაშინ საკითხი მოკავშირეობაზე გამორიცხულია"!

ჰარი ტრუმენმა, სხდომის დაძაბული ატმოსფერო რომ განეიტრალებინა, განაცხადა, - ტერიტორიული

დასასრული მე-8 გვ. ▶

# გვახსოვდეს ისტორიის გაკვეთილები!

◀დასაწყისი გვ. 4-7

საკითხი მხოლოდ ორი სახელმწიფოს საკითხია და ის საბჭოთა კავშირ-თურქეთს შორის უნდა გადაწყდეს.

ამასობაში ანტირუსულ-ანტისაბჭოური მასალები თურქეთის პრესაშიც მომრავლდა. გაზეთები წერდნენ „წითელ ფაშიზმზე", რომელიც არაფრით განსხვავდებოდა გერმანული ფაშიზმისაგან. გაზეთი „თასვირი" 1945 წლის 23 ივლისს წერდა: „რუსეთს ჩვენს მიწა-წყალზე თვალი უჭირავს, მას სურს ხელში ჩაიგდოს ჩვენი სამი აღმოსავლეთის ვილაიეთი, მოსკოვი უკვე შეუდგა ამ გეგმის განხორციელებას. დღემდე საბჭოთა რუსეთი თავის დამპყრობლურ პოლიტიკას ფარული წესით ახორციელებდა - ყველა მოსაზღვრე ქვეყანაში გზავნიდა თავის მომხრეებს და მათ ძალაუფლების ხელში ჩაგდებაში ეხმარებოდა, შემდეგ კი ასეთი „საბჭოთა მთავრობები" მიმართავდნენ რუსეთს მასთან შეერთების მიზნით. ასე იქნა მოსპობილი საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, ლატვია, ლიტვა... მოსკოვს ასეთივე პოლიტიკის გატარება სურს თურქეთთანაც, მაგრამ ეს არ გაუვა... არც ერთი თურქი არ დათანხმდება თავისი ტერიტორიის რაიმე ნაწილის გადაცემაზე".

თურქეთს ართვინ-არტაანის დაკარგვა არ სურდა, მაგრამ, სამაგიეროდ, საქართველოს (და სომხეთს) უნდოდა საკუთარი უძველესი მიწა-წყლის დაბრუნება. თბილისიდან (და ერევნიდანაც) მოსკოვს გაიგზავნა შესაბამისი არგუმენტები ზემოთ ნახსენები ტერიტორიების კუთვნილებაზე.

საბჭოთა მთავარსარდლობამ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, განსაკუთრებით კი, საქართველოსა და სომხეთში დისლოცირებულ სამხედრო ბაზებში, თავი მოუყარა მნიშვნელოვან ბრძოლისუნარიან ძალებს. სავარაუდოდ, მათი დიდი ნაწილი საზღვრისპირა სამხედრო გარნიზონებში იყო განლაგებული - ახალქალაქში, ახალციხეში, ბათუმში, ლენინაკანში (ახლანდელ გიუმრიში), ნახჭევანში. გარდა ამისა, გაძლიერდა ჩრდილოეთ ირანში (ირანის აზერბაიჯანსა და ირანის ქურთისტანში) ჯერ კიდევ 1941 წელს შეყვანილი საბჭოთა სამხედრო დაჯგუფება ქალაქ ხოისა და ნაკუშში, ურმიესა და სელმასში (თურქეთის საზღვართან). მზად იყო აგრეთვე ბულგარეთში დისლოცირებული საბჭოთა ჯარების სამხრეთის დაჯგუფება (ყოფილი უკრაინის მესამე ფრონტი), რომლის სავარაუდო სამიზნეს ბოსფორ-დარდანელის სრუტეების გაკონტროლება და სტამბოლის დაკავება წარმოადგენდა. შავი ზღვის წითელდროშოვანი სამხედრო ფლოტის საბრძოლო ამოცანა კი, ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, შავ ზღვაზე თურქეთის სამხედრო ბაზების ბლოკირება უნდა ყოფილიყო.

ამ გეგმის რეალიზების შემთხვევაში, თუ აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა 1945-46 წლების გამოცდილებას გადავხედავთ, ადვილი წარმოსადგენია, როგორი იქნებოდა თურქეთის შემდგომი ბედი... უნდა ვივარაუდოთ, რომ შავი ზღვის სამხედრო ფლოტის დესანტი დაიკავებდა სინოპსა და ზონგულდაკს... საქართველოდან და სომხეთიდან შეჭრილი საბჭოთა ჯარები არ შეჩერდებოდნენ არც ტრაპიზონსა და ართვინ-არტაან-ყარსთან, დაიკავებდნენ ერზერუმს, ერზინჯანს და ელიაზიგს, ირანიდან შეჭრილი სამხედრო ნაწილები კი შევიდოდნენ ვანსა და ბითლისში, თურქეთის ქურთისტანში (დიარბექირში), ორივე მიმართულება გაერთიანდებოდა და ხმელთაშუაზღვისპირეთში გავიდოდნენ, ანუ ჯეიჰან-ადანა-მერსინ-ანთალიის ხაზზე. თავის მხრივ, ბულგარეთიდან შესული სამხედრო ნაწილები მოახდენდნენ სტამბოლის ოკუპირებას, შეუტევდნენ იზმირსა და ანკარას, მათ შეუერთდებოდნენ ტრაპიზონში, სინოპსა და ზონგულდაკში გადასხმული საბჭოთა ჯარები. ალბათ, საქმეში ჩაებმებოდა საბჭოთა ავიაციაც... ოკუპაციას ფიქციური არჩევნები მოჰყვებოდა, გაიმარჯვებდა თურქი მშრომელი ხალხი კომუნისტების ხელმძღვანელობით... თუმცა, ჯობს აქ შევჩერდეთ, რადგან ეს მხოლოდ ვარაუდია...

ყოველ შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, რომ კრემლის დირექტივის თანახმად, საბჭოთა გენერალურ შტაბში, მთავარ სადაზვერვო სამმართველოსა (გრუ) და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შესაბამის სტრუქტურებში ნამდვილად მუშაობდნენ თურქეთის გასაბჭოების გეგმაზე.

1946 წლის გაზაფხულისათვის საქართველო თურქეთში საბჭოთა ჯარების შესვლის მოლოდინით ცხოვრობდა. დღე-დღეზე ელოდნენ „სოვინფორმბიუროს" ცნობასა და იური ლევიტანის ხმას: „დღეს საბჭოთა ჯარებმა წარმატებული სამხედრო ოპერაციის შედეგად შავი ზღვის წითელდროშოვანი სამხედრო ფლოტის საბრძოლო ხომალდების მონაწილეობით, დაიკავეს ქალაქი ტრაპიზონი, დღესვე ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარები შევიდნენ ქალაქ ართვინში".

რასაკვირველია, შემოერთებულ თუ დაკავებულ-ოკუპირებულ ტერიტორიებზე აუცილებელი იქნებოდა საბჭოთა ხელისუფლებისა და პარტიული ორგანოების ჩამოყალიბება. ცხადია, კრემლი ამ მიმართულებითაც მუშაობდა: იქმნებოდა ოლქკომების, ქალაქკომებისა და რაიკომების მდივნების, აგრეთვე საქალაქო და რაიონული აღმასკომების თავმჯდომარეების კანდიდატთა სიები. რაც შეეხება მომავალი კომუნისტური თურქეთის ხელმძღვანელს, ამბობენ, რომ კრემლში, იოსებ სტალინთან უკვე შეთანხმებული იყო საკითხი ამ თანამდებობაზე ცნობილი თურქი კომუნისტი მწერლის ნაზიმ ჰიქმეთის დანიშვნის თაობაზე.

ალბათ, დღეს ბევრს აღარ ახსოვს, რომ ტრაპიზონისა და ართვინ-არტაანის დაბრუნების პრობლემა ფართოდ იყო ასახული ქართულ ლიტერატურაშიც: იბეჭდებოდა მოთხრობები („მტკვრის სათავისკენ"), იწერებოდა და იდგმებოდა პიესები („ჩაძირული ქვები"), იქმნებოდა პოემები და ლექსები... აი, ამონარიდი გრიგოლ აბაშიძის ლექსიდან „ოცნება ტრაპიზონის ოლქკომზე":

„გზის გასწვრივ დგანან
ალვები მწკრივად,
თეთრად გაჰკვრია
ზეცას ღრუბლები,
მე ტრაპიზონის
ოლქკომში ვზივარ,
ოლქკომის მდივანს
ვესაუბრები.
კედელზე რუკა ჰკიდია ოლქის,
მდივანი დასცქერს
გადაშლილ ფურცელს,
სახეზე დაჰკრავს იერი
კოლხის
და ლაპარაკში ლაზურად
უქცევს".
ამ ოცნებას განხორციელება
არ ეწერა.

1947 წლისთვის საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა. მოსკოვ-ანკარის დაპირისპირება გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზეც გაგრძელდა, 1947 წლის ოქტომბერში, ნიუ-იორკში. თურქეთის წარმომადგენელმა სელიმ სარფერმა საბჭოთა კავშირი აგრესიულ ზრახვებში - ტერიტორიულ პრეტენზიებში დაადანაშაულა. საპასუხო სიტყვაში გამოსულმა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ანდრეი ვიშინსკიმ სელიმ სარფერის ნათქვამი უარყო და პირიქით განაცხადა, ართვინი, არტაანი და ყარსის ოლქები თურქეთს მიტაცებული აქვს და უნდა დააბრუნოსო. ასე იყო თუ ისე, საბოლოოდ, გაეროს გენასამბლეის სესიამ უარყო ანდრეი ვიშინსკის რეზოლუციის პროექტი, რომელშიც თურქეთი დაგმობილი იყო, როგორც ახალი ომის ერთ-ერთი გამჩაღებელი საბჭოთა კავშირსა და სხვა სახალხო დემოკრატიულ ქვეყნებთან. გაერო შემოიფარგლა მშვიდობის დარღვევის მცდელობის, ომის პროპაგანდისა და აგრესიის ზოგადი დაგმობით.

მაინც რა მოხდა ისეთი, რის გამოც იოსებ სტალინის სურვილები და შესაძლებლობები ერთმანეთს არ დაემთხვა?

ზოგიერთი მკვლევრის მტკიცებით, იოსებ სტალინის გეგმის ჩაფუშვა, თითქოსდა, აშშ-ის მიერ ატომური იარაღის შექმნის ფაქტორს გამოუწვევია და ამ თვალსაზრისის დასადასტურებლად იშველიებენ გენერალისიმუსის სიტყვებს, რომელიც მას თავისი გარემოცვისთვის პოტსდამის კონფერენციის დასასრულს უთქვამს: „მზადება სტამბოლზე ლაშქრობისათვის დროებით უნდა შევაჩეროთ, თურქები იაპონელების მადლობელი უნდა იყვნენ, რომ გადარჩნენ". ამგვარი მტკიცება საფუძველს მოკლებულად მიგვაჩნია - ატომური ბომბი ჰიროსიმასა და ნაგასაკში 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს ჩამოაგდო, თურქეთში საბჭოთა აგრესიისათვის მზადებამ კი პიკს 1946 წლის გაზაფხულზე მიაღწია. ასე, რომ, ტრუმენისეული „ყურში ჩაწვეთება", გეშინოდეთ, ჩვენ ბომბი გვაქვსო, კობას, ფაქტობრივად, აინუნშიაც არ ჩაუგდია. როგორც ჩანს, თურქეთი გასაბჭოებას შემდეგმა მოვლენებმა გადაარჩინა:

პირველი - დასავლეთის ზეწოლის გამო მოსკოვი იძულებული გახდა ირანიდან საბჭოთა ჯარების 35-ათასიანი დაჯგუფება გაეყვანა (თეირანთან 1942 წელს დადებული ხელშეკრულების შესაბამისად). ამით მნიშვნელოვნად შესუსტდა თურქეთზე სამხედრო დარტყმის ეფექტი;

მეორე - მოსკოვი ხედავდა, რომ დასავლეთი თურქეთს სოლიდარობას უცხადებდა და დახმარებას უწევდა. საბჭოთა კავშირმა ვერ შეძლო ამ მხარდაჭერის განეიტრალება;

მესამე - საბჭოთა კავშირის ანტითურქულმა კურსმა თურქი ხალხის არნახული კონსოლიდაცია გამოიწვია. ასეთ სიტუაციაში უკვე ძნელი იქნებოდა თურქეთის სწრაფი დამარცხება, ოპერაციის გაჭიანურება კი მოსკოვს კარგს არაფერს უქადდა.

1952 წელს თურქეთი ნატოში მიიღეს და ამის მიღებაში გადამწყვეტი როლი სწორედ მოსკოვთან დაპირისპირების ფაქტორმა შეასრულა. მართალია, ანკარასა და მოსკოვს შორის დიპლომატიური ურთიერთობა არ გაწყვეტილა, მაგრამ კრემლმა უკან გაიწვია თავისი ელჩი სერგეი ვინოგრადოვი და ეს გაწვევა „დაახლოებით ორი წელი გაგრძელდა. მინიმუმამდე შემცირდა და თითქმის შეწყდა სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული კავშირები, უმკაცრესი კონტროლი დაწესდა საბჭოთა სასაზღვრო ზონებშიც. სხვათა შორის, სამცხე-ჯავახეთშიც შესვლა სწორედ მაშინ შეიზღუდა - მოქალაქეებს სპეციალური საშვი ჭირდებოდათ.

იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდგომ, 1953 წლის მაისში, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიაჩესლავ მოლოტოვმა, ნიკიტა ხრუშჩოვის მითითებით, თურქეთის ელჩს მოსკოვში, ფაიქ ხოზარს, ასეთი განცხადება წარუდგინა: „საბჭოთა მთავრობამ, რომელმაც ბოლო ხანებში მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის საკითხები განიხილა, ყურადღება მიაპყრო საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობასაც. კეთილმეზობლობისა და უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით, საქართველოსა და სომხეთის სსრ-ების მთავრობებმა ჩათვალეს შესაძლებლად, რომ უარი თქვან თურქეთთან ტერიტორიულ პრეტენზიებზე. რაც შეეხება სრუტეების საკითხს, საბჭოთა მთავრობამ შეცვალა წინანდელი აზრი ამ საკითხზეც. ამრიგად, საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირს არ აქვს არავითარი ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთთან",

თუმცა მოსკოვის ამგვარ დიპლომატიურ უკან დახევას, მეზობელთან ურთიერთობის გაუმჯობესებაზე, მაინცდამაინც, დადებითი გავლენა არ მოუხდენია: თურქეთი კვლავ უნდობლობით ეკიდებოდა საბჭოთა კავშირს. მოსკოვისა და ანკარის ცივი ურთიერთდამოკიდებულება შემდგომ პერიოდშიც გაგრძელდა, თითქმის 80-იანი წლების დასაწყისამდე.

**– რამდენად სამართლიანი იყო საბჭოთა კავშირის (საქართველოს) პრეტენზიები თურქეთთან?**

ძალზე ძნელია ერთგვაროვანი და კატეგორიული პასუხის გაცემა. რასაკვირველია, ქართველი ხალხისათვის ისტორიული მიწა-წყლის დაბრუნება ყოველთვის სასურველი იყო, მაგრამ, იმავდროულად, განუხორციელებელიც - თურქეთისთვის პრეტენზიების წაყენებისას, საბჭოთა კავშირმა ისარგებლა ძალის პრინციპით, მაგრამ მას ძალითვე უპასუხეს და უკან დაახევინეს. არადა, 1944-45 წლებში, როცა ტერიტორიების დაბრუნების შედარებით უმტკივნეულო და რეალური შანსი არსებობდა, იოსებ სტალინმა, რატომღაც, უარი თქვა, 1946 წელს კი უკვე დაგვიანებული იყო.

**– როგორც ცნობილია, 1944 წელს საქართველოს ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიები შემოუერთეს, რომელსაც ქლუხორის რაიონი ეწოდა. ვისგან მოდიოდა ეს ინიციატივა, რამდენ ხანს იარსება და როგორი იყო ამ რაიონის ეროვნული შემადგენლობა? ვის მიერ და რატომ მოხდა მისი გაუქმება?**

1944 წლის 12 ოქტომბერს, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების თანახმად, რსფსრ-ის შემადგენლობაში არსებული ყარაჩაის ავტონომიური ოლქი გაუქმდა, მისი ტერიტორია კი საქართველოს შემოუერთდა და ქლუხორის რაიონი ეწოდა. სხვადასხვა წყაროების თანახმად, ეს ლავრენტი ბერიას ინიციატივით მომხდარა. შემოერთების მომენტში, ეს ტერიტორია, ფაქტიურად, დაცარიელებული იყო, რადგან ძირითადი ისტორიული მოსახლეობა - ყარაჩაელები, გაასახლეს: მათ ბრალად წაუყენეს, რომ ომის დროს მასობრივად თანამშრომლობდნენ გერმანელ ოკუპანტებთან. ქლუხორის რაიონში მხოლოდ მცირე რაოდენობის რუსი მოსახლეობა იყო დარჩენილი, მოგვიანებით კი იქ ქართველები, უმეტესად სვანები და რაჭველები ჩასახლდნენ. შეიცვალა დასახლებული პუნქტების ტოპონიმიკაც. 1945 წლის ბოლოსათვის მადნისხევში (ყოფილ უჩკულანში) ცხოვრობდა 200 კომლი სვანი, მთისძირში (კარჯურტში) - 35 კომლი, თებერდაში – 180 კომლი რაჭველი სოფელ გლოლადან და ჭიორადან, მზისაში – 72 კომლი სოფელ ღებიდან, ახალშენში – 18 კომლი უწერადან...

1955 წლის 10 მარტს საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო შემდეგი დადგენილება: „საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, მხედველობაში მიიღო რა ქლუხორის რაიონის ტერიტორიული დაშორება საქართველოსთან და მისი მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიური, კულტურული კავშირები რსფსრ სტავროპოლის მხარესთან, აგრეთვე რსფსრ-ის თანხმობა ქლუხორის რაიონის სტავროპოლის მხარესთან მიერთების თაობაზე, დაადგინა: გადაეცეს საქართველოს სსრ ქლუხორის რაიონის ტერიტორია რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკას".

ქართველებმა ეს ტერიტორიები დატოვეს და აქ კვლავ ძველი მოსახლეობა დაბრუნდა. ამჟამად ეს ტერიტორიები რუსეთის ფედერაციის ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკის რაიონ ყარაჩაევსკის შემადგენლობაშია.

სხვათა შორის, 1944 წელს საქართველოს ჩეჩნეთისა და ინგუშეთის სამხრეთი ნაწილებიც შემოუერთდა, რომელსაც ახალხევის (ყოფილი ითუმ-ყალე) რაიონი უწოდეს. მოგვიანებით, ისევე როგორც ქლუხორის რაიონი, ახალხევის რაიონის ტერიტორიაც, ჩეჩნეთსა და ინგუშეთს დაუბრუნდა.

**– ისტორიულად როდის და რამდენ ხანს იყო სოჭი საქართველოს შემადგენლობაში?**

სოჭის ოლქი რუსეთის იმპერიის შავი ზღვის გუბერნიის შემადგენლობაში 1896 წელს შეიქმნა. სოჭის ოლქის საქართველოს შემადგენლობაში ყოფნის პერიოდი ზუსტადაა ცნობილი: ქართულმა ჯარმა, რომელიც აფხაზეთიდან რუსი ბოლშევიკების რაზმებს დევნიდა, ქალაქი სოჭი 1918 წლის 6 ივლისს დაიკავა. 1919 წლის თებერვლის დასაწყისში, რუსეთის ე.წ მოხალისეთა არმიის ნაწილებმა, გენერალ ანტონ დენიკინის ბრძანებით (რომელიც ერთიანი მონარქისტული რუსეთის აღდგენისათვის იბრძოდა), ქალაქი სოჭი და ოლქის ტერიტორია 1919 წლის 7-8 თებერვალს დაიკავეს. ქართულმა გარნიზონმა მტრის ჭარბ ძალებთან ბრძოლაში მნიშვნელოვანი დანაკარგები განიცადა. 1920 წლის აპრილში რუსეთის წითელმა არმიამ სოჭის ოლქში მოხალისეთა არმიის ქვედანაყოფები გაანადგურა და საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა. 1920 წლის 7 მაისს მოსკოვში დადებული რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს სახელმწიფო საზღვარმა მდინარე ფსოუზე გაიარა, ანუ სოჭის ოლქი რსფსრ-ის შემადგენლობაში იურიდიულად მოექცა.

ამჟამად მუნიციპალური წარმონაქმნი „ქალაქი-კურორტი სოჭი" რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარეში შედის.

*ინტერვიუს უძღვებოდა*

***ავთანდილ ბერიძე***



# მადონა ჯავახიშვილი

## ემიგრანტის წერილი

ცრემლი რომ დამდის, რად გიკვირთ,
მიზეზი მაქვს და ვსტირი მე,
მომნატრებია სამშობლო,
მისი მთა-ბარის ჭირი მე.

მის ველებს შემოვევლები,
თერგს, არაგვსა და ლელიანს,
საქართველოში სხვა ძალით , –
სხვა სიყვარილით მღერიან.

მომნატრებია ყანების
და ვენახების დანახვა,
ბედნიერია ის, ვისაც
მანდ ელირსება დამარხვა.

ველარ ავიტან სიშორეს,
ეს დარდი გამატიალებს,
ვწუხ, – წუთისოფლის ბორბალი
როგორ უკუღმა ტრიალებს.

როცა მოვკვდები, მინდა რომ,
სამშობლოს მიწა მათბობდეს,
მინდვრად გაზრდილი ყვავილის
ნაზი სურნელი მათრობდეს.

სანამ ცოცხალ ვართ, გვითხარით, –
ხომ ვენატრებით ლელიანს,
რომ საქართველოს ვჭირდებით
და ემიგრანტებს... გველიან!..

## იქნებ...

იქნებ, ვერა ვწერ ისე, როგორც დიდი პოეტი,
მაგრამ, სიცრუე არასდროს არ დამიწერია,
არც არენაზე გამოვსულვარ სხვის გასართობად,
ისე ვიცხოვრებ, როგორც უფალს დაუწერია.

წრფელი სიტყვები მარცვალ-მარცვალ სხივზე ავკინძე,
მართლად, გულწრფელად ამოვფანტე ჩემი გულიდან,
სიცრუე არსად,
არასოდეს არ მიწერია, –
სიმართლეს ვისვრი ჩემი კალმის ყველა ლულიდან.

არც სხვის ჯიბეში ჩამიყვია ხელი ქურდულად,
არც არავისთვის მომიპარავს სტრიქონ-რითმები,
სხვა რას დაარქმევს, –
ამის ცნობის არ მაქვს სურვილი,
ამქვეყნად ქალად მოვედი, ვწერ ქალის ფიქრებით...

ეგებ, ვერა ვწერ, ისე, როგორც დიდი პოეტი,
მაგრამ, ლექსებში ჩემი სულის ნაწილი ჩავდე,
და, რომ სიცოცხლეს, თუნდ მცირედი ხალისი მივცე,
ლექსებად უნდა დავიცალო ბოლო წვეთამდე...

# ფიქრები დასახვრეტ საკანში

## პორფილე ოქრომელიძე

### თავი პირველი

(გაგრძელება. დასაწყ. იხ. წინა ნომერში)

მე ვინ ვარ, რომ თავი გავუტოლო სტალინს, მაგრამ მაქვს უფლება, როგორც ნებისმიერ ქართველს, შევაფასო მისი ღვაწლი სამშობლოს წინაშე. ადამიანის ღვაწლი სამშობლოს მიმართ ხომ გაკეთებული საქმეებით ფასდება და იმითაც, თუ რისი გაკეთება სურდა მას. ციხიდან დაბრუნების შემდეგ, მე შევხვდი გ. სალარიძეს, უკვე ხანში შესულს, რომელსაც, თავისი ნაციონალისტობის გამო, კიდევაც მოეხადა კომუნისტური სახადი, თუმცა, კვლავაც იმავე აზრის იყო ერისა და ქვეყნის მიმართ. ამაზე ზემოთ აღვნიშნე და ეს ფაქტებია და არა ჩემს მიერ მოგონილი იგავ-ისტორიები. ეს ჩემზე უკეთესად, ჩვენს ისტორიკოსებს მოეხსენებათ, დღეს რომ ზიან და თეთრზე შავს ამბობენ და შავზე თეთრს. ისინი აყალბებენ ისტორიას, ოღონდ კი ხელისუფალის მფარველობა მოიპოვონ. არად აგდებენ ჩვენს წარსულს და არც მომავალზე ფიქრობენ. დღეს ეს მეცნიერნი, ვითომ პატრიოტნი, ზიან კაბინეტებში და იძლევიან ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ გეგმებს. ფეხქვეშ თელავენ ილიას, ვაჟას, აკაკის და უამრავ სხვათა მიერ ნაფერებ-ნალოლიავებ საქართველოს ისტორიას, მის ინტერესებს თავიანთი პირადი ამბიციების გამო. სწორედ ამიტომ ვეკითხები მათ, რატომ წამართვით სამშობლო, სადაც წინაპართა ძვლები მეგულება. სამშობლო, სადაც ქართული ცხოვრების წესი და ტრადიციები უნდა მეუფებდეს, დღეს კი, პირიქითაა. ან რას მივაწეროთ სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიები. საიდან იშვა ტერმინი – სამხრეთ ოსეთი, ეს სიტყვათა წყობა. ნუთუ არ იცოდნენ, რა ნაღმებს დებდნენ აქ, ისედაც ტერიტორია დაკარგულ სამშობლოში.

შეეხნენ და წაგვიბილწეს ყველაზე წმინდა ჩვენი ეროვნული ერთობისა, ჩვენი ეკლესია, სარწმუნოება. დაგვინგრიეს ასეულობით ეკლესია-მონასტერი. გადაასახლეს და გააციმბირეს მრავალი მღვდელ - მონაზონი. დახვრიტეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია, რატომ?! რატომ მართმევთ იმას, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში მტკიცედ იდგა ერის და ქვეყნის განმტკიცება-გაერთიანებისთვის. ჩვენი დიდი მეფე-ხელმწიფენი ხომ სამეფო გვირგვინთან ერთად საეკლესიო კვერთხის მატარებელნი და დამცველნი იყვნენ ყოველთვის. რომელი ერთი ჩამოვთვალო. ხმლით ხელში, ცხენზე ამხედრებულები, სახარებით ხელში, იდგნენ სამშობლოს და ქვეყნის სადარაჯოზე და თქვენამდე მოიტანეს არა იმიტომ, რომ ბოლოს თქვენს მიერ ყოფილიყო დანგრეულ - გაპარტახებული. რატომ დამინგრიეთ ღვთის სახლი, სადაც, თავის დროზე, თქვენც აფარებდით თავს. ამ ფარისევლობას არ გაპატიებთ უფალი, არ გაპატიებთ შთამომავლობა ეკლესიების საჯინიბოებად და ბოსლებად გადაქცევისთვის. თქვენ შექმენით ბელადი პირველყოფილ ადამიანთა მოდგმის წესებით და თან დემოკრატიაზე ლაპარაკობთ. თქვენი ბელადიც კი არ დამარხეთ, რათა სამუდამო შიში გვქონოდათ იმ ეშმაკის მოციქულისა, ვისი ბრძანებითაც დახვრიტეს რუსეთის მეფის მთელი ოჯახი, მცირეწლოვან ინვალიდ ბავშვთან ერთად. ეს მონსტრი დღესაც „არხეინად“ განისვენებს მის მიერ იავარქმნილი ქვეყნის შუაგულში, თქვენს მიერ აშენებულ აკლდამაში. მაგრამ, მოვა დრო, ეს აკლდამა ჩამოიშლება, როგორც მრავალნი, მასზე წინ ნაშენი და დღეს დანგრეულ-გაპარტახებულნი. ყოველივე ზემონათქვამის წინაპირობა იყო იმ პოლიტიკური სისტემის შედეგი, რომელსაც სოციალისტური წყობა-სისტემა ჰქვია. რა არის ეს, ვითომ დემოკრატიაზე მორგებული ანტიადამიანური პოლიტიკური სისტემა, რომელიც არ ითვალისწინებს ადამიანის ბუნებრივ განვითარებას, მის ევოლუციური წინსვლის პერსპექტივებს. არ ითვალისწინებს ადამიანის პიროვნულ მონაცემებს, მისწრაფებებს, შესაძლებლობებს, სურვილებს, რომელიც, ზოგადად, მსოფლიო საზოგადოებრივ განვითარებას კი არ აფერხებს, პირიქით, ხელს უწყობს მის თანმიმდევრულ სწრაფ განვითარებას.

მაინც რა არ მოსწონთ მარქსისტებს კერძოდ, კაპიტალისტური სისტემის? არა, აქ მოწონება-არმოწონებაზე არ არის საქმე. საქმე იმაშია, რომ ისინი წარმოადგენენ რაღაც უცხო, კლასობრივ, ჯგუფურ თუ სექტანტურ წარმონაქმნს თავიანთი ინტერესების გასატარებლად არა მარტო აქ, რუსეთის იმპერიაში, არამედ მთელს მსოფლიოში. ისინი, პირველ რიგში, წინ აღუდგნენ ღმერთს, სამებას, ერთარსებას და შემოიტანეს უღმერთობის იდეა. შემდეგ კი, ყოველივე საკუთრების აკრძალვა, საკუთრების საზოგადოებრივი ფორმის ჩანაცვლებით. თვით ოჯახის ყველაზე ინტიმურ სფეროსაც კი შეეხნენ და სიყვარული, როგორც უზესთაესი ღვთიური ფენომენი ფეხქვეშ გათელეს და ქალი გამოიყვანეს, როგორც საერთო მოხმარების ობიექტი. საბედნიეროდ, ეს ვერ განახორციელეს, მიუხედავად მათი დიდი მონდომებისა.

სახელწიფო კაპიტალიზმის განხორციელებას, დღეს რომ სოციალიზმს ვუწოდებთ, სისხლის მდინარეები მოჰყვა. ამის შესახებ ზემოთაც აღვნიშნე. სწორედ მაშინ შეიქმნა სპეციალურად პატიმართათვის ბანაკები არა მხოლოდ როგორც დასჯის საშუალება, არამედ, როგორც უფასო მუშახელთა თავშესაყარი. თანაც, სად, ყველაზე მკაცრ კლიმატურ ადგილებში, სადაც თვით ცარისტული ხელისუფლებაც უარს ამბობდა ტუსაღთა გადასახლებაზე, რომ აღარ ვთქვათ იქ პატიმართა არაადამიანური, კატორღული შრომის პირობებზე. აქ ადამიანის უფლებებზე ლაპარაკიც ზედმეტია. იყვნენ პატიმრები, სხვადასხვა პოლიტიკური სახელდებით, ტროცკისტი, ფაშისტი, ინგლისის ჯაშუში, ხალხის მტერი, ინტელიგენციის, ხელოვანთა, სამხედრო მოსამსახურეთა წრეებიდან, რომელთა უდიდესი ნაწილი იმ ბანაკებში დაიღუპა. პოლიტიკური მარწუხების გამო აქაც, თავისუფლებაში მყოფნიც, თავს იკლავდნენ, – მწერლები, პოეტები, ხელოვნების მოღვაწენი, ვიდრე ძალით აიყვანდნენ სასიკვდილო ეშაფოტზე და, მერე, „ხალხის მტრის“ იარლიყს მიაკრავდნენ. მერე ,,ხალხის მტრის'' ოჯახს ბინიდან ყრიდნენ და იქ თვითონ სახლდებოდნენ. გამოსახლებულებს კი ეტაპი ელოდათ, საიდანაც ცოცხალნი ცოტანი ბრუნდებოდნენ, მაგრამ, უკვე სულიერად და ფიზიკურად გატეხილნი, შეშინებულ-დაბეჩავებულნი. მაშინ საქართველოს ინტელიგენციას ნაღები მოხადეს, ერის ინტელექტუალური სიმდიდრე არად ჩააგდეს. მაშინ იყო ყაჩაღობა კანონების დონეზე და ამ კანონს ვინაც აღასრულებდა, მერე თვითონ ხდებოდა ამ კანონისავე მსხვერპლი. ერთი სისტემის სხვადასხვა საფეხურზე მდგომნი ერთმანეთს ვერ ჰგუობდნენ. იყო შური, ბოღმა და გაუტანლობა, თუმცა, ერთი კაცის მსახვრალი ხელით, ფურცელზე კალმის ერთი მოსმით, ყველაფერი სისრულეში მოჰყავდათ იმ მიმართებით, რაც სრულიად ესადაგება ტოტალიტარულ-დიქტატორული პოლიტიკური სისტემის რეალურ პრინციპებს. „შიში შეიქმს სიყვარულსაო“, – რუსთაველის ეს სიბრძნე, ზუსტად გამოხატავს მაშინდელ, უკვე დაბეჩავებული ხალხის შინაგან განწყობას. და იწერებოდა ლექსები ბელადზე, ხალხთა მამაზე და მარჩენალზე.

ამ პერიოდში რუსეთის იმპერიაში გამარჯვებულად გამოცხადდა სოციალიზმი. შეიძლება მომავალში ეს სიტყვა ბევრს არ მოეწონოს, იმიტომ, რომ ბევრის მამა თუ პაპა, ან, კერძოდ, თვითონ ნებით თუ უნებლიედ, მის მსახურებაში ატარებს ცხოვრებას, მაგრამ, მოვა დრო და, ალბათ, მიხვდებიან, თუ სად დაუშვეს შეცდომა ქვეყნის მსახურებასთან მიმართებაში. მოდით, საკითხს ასე შევხედოთ – თუ რუსეთი არ დაიპყრობდა საქართველოს დემოკრატიულ რესპულიკას, თუ კი შენარჩუნებული იქნებოდა ერის ინტელექტუალური პოტენციალი, თუ კი არ მოხდებოდა კოლექტივიზაცია, თუ კი არ დაიკარგებოდა ჩვენი ქვეყნის მესამედზე მეტი, და სხვა უარესი, საქართველო იქნებ განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე მდგარიყო დღეს. ამის მკაფიო მაგალითებია ევროპის თავისუფალი ქვეყნების სოციალ-ეკონომიური განვითარების დღევანდელი დონე. რუსეთმა ჩვენ მოგვწყვიტა დანარჩენ ცივილიზებულ მსოფლიოს და საქართველოსა და ევროპას შორის სამუდამოდ ჩამოუშვა ის ბნელი ფარდა, რომელმაც სამუდამოდ დააბნელა ჩვენი სამშობლოს მომავალი.

თუმცა, 1924 წლის აჯანყებამ შედეგი ვერ გამოიღო, მაგრამ ფაქტებმა დაანახა კრემლის მესვეურებს, ერისა და ქვეყნის მისწრაფებები თავისუფლებისაკენ. მოვა დრო და ისტორია ამ მებრძოლებს გმირებად შერაცხავს. ჩვენც ამ გზაზე ვიდექით და ჯიუტად მივცურავდით იმ აბობოქრებულ პოლიტიკურ ოკეანეში, სადაც შესვლა უფრო ადვილია, გამოსვლაა ძნელი. თუმცა ჩვენ პოლიტიკაში კი არა, იმ მონსტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩავებით, ჩვენი მწირი შესაძლებლობებით და დიდი იმედებით. იმ იმედებით, რომ ამ ომით, მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების შემთხვევაში, საქართველო თავისუფლებას აუცილებლად მოიპოვებდა.

დასახვრეტ საკანში, ჩემი სამთვიანი ყოფნისას, საუბრები მქონდა თანასაკნელებთან და მათაც ვარწმუნებდი, რომ თუ დახვრეტას გადავურჩით, იქნებ, ჩვენი გათავისუფლება გერმანელ ჯარისკაცებს მოუწიოსო. თუმცა, ეს იყო მხოლოდ განსჯა და ვარაუდები ჩვენი სურვილების და, ამასთან, ჩვენი ასაკიდან გამომდინარე, გამოუცდელობის კარგი მაგალითი. საბოლოოდ, ჩვენი სურვილები სურვილებად დარჩა და 1943 წლის 3 აგვისტოს მეც მომიწია რიგმა და ზედამხედველმა გამომიცხადა: – „პორფილე ოქრომელიძე, გამოდი“!

მაშინ საკანში ორნი ვიყავით, მე და ერთი ქუთაისელი. მგონი, აბაშიძე იყო გვარად. ალბათ, შუადღე იქნებოდა. ამ ცნობამ იმ წუთში ისევე იმოქმედა ჩემზე, როგორც სამი თვის წინ გამოცხადებულმა ჩემი დახვრეტით დასჯის ინფორმაციამ. ცივმა ოფლმა დაასველა ჩემი პერანგი. აქ არაფერი გამაჩნდა, გარდა იმისა, რაც ტანზე მეცვა და ერთი დაგლეჯილი „ბუშლატა“. ამიტომ, მოსამზადებლად დიდი დრო არ მჭირდებოდა. მხოლოდ ის იყო, რომ, გასვლისას, უკვე ტრადიციად ქცეული ფრაზა უნდა წარმომეთქვა დამრჩენის მიმართ: „თუ ცოცხალი გადარჩი, იქნებ ჩემიანებსაც მიაწვდინო ხმაო“! მეც ამ სიტყვებით დავემშვიდობე აბაშიძეს, ვუსურვე მოთმინება და ღმერთს შევლა შევთხოვე, კიდევ ერთხელ. ამრიგად, მივედი საკნის ღია კართან, სადაც დამადეს ბორკილები და გავყევი ზედამხედველებს. მოულოდნელად, მივხვდი, რომ იმ მიმართულებით არ მივყავდი, საითაც ათასებს გაუვლიათ. საკანთა შორის დერეფანი გავიარეთ და მაღლა ავედით. დაბნეული ვიყავი და ვერ ვხვდებოდი, რა უნდა მომხდარიყო. ერთგან შევჩერდით და, ალბათ, ჩინით უფროსმა, კაბინეტის კარი შეაღო. შევედით უფროსთან. გვარი არ ვიცი. ვდგავარ და ველოდები. რას? უფრო, ტყვიას! მაგრამ, უცებ, უფროსის ხმა გაისმა: „ოქრომელიძე პორფილე“! – მე თავი დავუკარი, დასტურის ნიშნად. – „ჰო და, პორფილე, გილოცავ. შენ სტალინმა შეგიწყალა“! მე გაუაზრებლად, მუხლმოკვეთილი, სკამთან ჩავიკეცე. ერთ-ერთი ზედამხედველი დამეხმარა და სკამზე დამსვა. გონს რომ მოვედი, უფროსმა კვლავ გამიმეორა: – „სტალინმა შენ შეგიწყალა და დახვრეტა შეგეცვალა ოცი წლით პატიმრობითო. არ გეგონოს, რომ მან არ იცის შენისთანების ფასიო. მის გენიას არ ეშლება, ვინ დახვრიტოს და ვინ არაო“! მისი ეს ნათქვამი, სიტყვა-სიტყვით მახსოვს. ეს ჩემთვის წარმოუდგენელი იყო და უკვე სიკვდილს შეგუებულისთვის, მეორედ დაბადებას ნიშნავდა. ყოველივე გვიან გავაცნობიერე, რომ კიდევ მომეცა უფლება მეცოცხლა. უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა, ის ოცი წელი როგორი იქნებოდა. მთვარი ის იყო, რომ, მე, ამ წუთიდან, სიკვდილზე აღარ უნდა მეფიქრა.

დაბნეულმა მაინც მოვახერხე უფროსისათვის მადლობა მეთქვა. მან კი, კიდევ ერთხელ შემახსენა სტალინის სახელი, – „მადლობა სტალინს უთხარიო“!

მერე წამიყვანეს ცოცხლებში, 31-ე კამერაში. იქ ჩემს შესახებ უკვე იცოდნენ და, როცა ჩემი სახელი და გვარი დავუსახელე, ყველამ გაკვირვებით შემომხედა. მერე კი გულით მომილოცეს ეს დიდი გამარჯვება. იმ საღამოს, კამერის ერთ-ერთ კედელზე, ჩემი სისხლით მივაწერე: ,,დახვრეტა შემიცვალეს ოცი წლით პატიმრობით. დავიბადე მეორედ. პორფილე ოქრომელიძე''.

ასე დასრულდა ჩემი სამთვიანი წამება დასახვრეტ საკანში სიკვდილ-სიცოცხლესთან ბრძოლაში, რამაც განსაკუთრებული დაღი დაასვა ჩემს ცნობიერებას ძალაუფლებასთან მიმართებაში. ტყუილად არ უთქვამს ბრძენკაცს და მეც ვეთანხმები იმაში, რომ – ვისაც ციხის სიმწარე არ განუცდია, მან არ იცის, რა არის ძალაუფლება. ჭეშმარიტად!

(გაგრძელება იქნება)

# შალვა კეღოშვილი (ჩიხორიშელი)

## (დაბადებიდან 70 წლისთავის გამო)

შალვა კეღოშვილს ქართველი საზოგადოება იცნობს როგორც მრავალმხრივ ნიჭიერ და ღირსეულ მამულიშვილს, საზოგადო მოღვაწეს, მსახიობსა და პოეტს, მხატვრული კითხვის ოსტატსა და ღირსეულ თამადას. ადამიანს, რომელიც ყველა საქმეში თავის სულსა და გულს სდებდა და რომელთანაც ურთიერთობა ძალზე სასიამოვნოც იყო და მრავლის მომცემიც. იგი თავისი ცხოვრებით, მოღვაწეობითა და პიროვნული თვისებებით მშობლიური კუთხის კოლორიტი იყო. ამასთანავე, იმ პოეტთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც მოიპოვეს მკითხველის ყურადღება, საზოგადოების სიყვარულითა და პატივისცემით იყვნენ გარემოსილნი. სიცოცხლეშივე წილად ხვდა დიდი აღიარება, მის ლექსებს ხალხი, იმთავითვე, ზეპირად სწავლობდა.

შალვა კეღოშვილმა სიცოცხლეში თავისი ლექსების ორი კრებულის გამოცემა მოასწრო: „ცოტაც დაქალდი და მერე...“, „ვაზს ცრემლები ვინ სწმინდოს“? დიდი სურვილი ჰქონდა სიცოცხლის ბოლო პერიოდის შემოქმედება მესამე კრებულად გამოეცა, მაგრამ აღარ დასცალდა. ოჯახს ანდერძი დაუტოვა, – ეზრუნათ მისი ნატვრის ასრულებაზე. ნატვრა აუსრულა მეგობარმა და თანამოაზრემ – ბატონმა მერაბ ბერიძემ, თანაც, ისე, რომ მალე, შალვა კეღოშვილის 70 წლის საიუბილეოდ, მკითხველი საზოგადოება იხილავს მის სრულ შემოქმედებას.

***

შალვა კეღოშვილი დაიბადა 1946 წლის 19 მარტს ასპინძის რაიონის სოფელ ხიზაბავრაში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მომენტი დადგა – მომავალი პროფესიის არჩევის მომენტი. პოეტური და სამსახიობო ნიჭით დაჯილდოებულს ახლობლებმაც და მეგობრებმაც თეატრალურ ინსტიტუტში სწავლის გაგრძელება ურჩიეს. ეს ის იყო, რაზეც ოცნებასაც ვერ გაბედავდა, მაგრამ სურვილმა სძლია და საბუთები შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში შეიტანა, სამსახიობო ფაკუტეტზე. როგორც ბატონი შალვა იგონებდა, მის სწავლას „ერთი ჭედილა ცხვარი შეეწირა. მამაჩემმა მითხრა: გაყიდე და გამოიყენეო. იმ ფულით თბილისშიც უნდა წავსულიყავი, ჩასაცმელიც უნდა მეყიდა და ერთხანს მეარსება კიდეც. უპირველესად, ფეხსაცმელი ვიყიდე. მაგრამ გამოცდის წინ, კოკისპირულ წვიმაში მოვხვდი და სახლში ფეხშიშველი დავბრუნდი. რა უნდა მექნა, ჩემს მეგობარს ვთხოვე ფეხსაცმელი. მას კი ძალზედ დიდი ფეხი ჰქონდა, რამდენიმე ზომით მეტი. ამიტომ, ქაღალდებით გამოვტენე და ისე ჩავიცვი. ძლივს მივედი ინსტიტუტში. ფეხსაცმელი იმდენად დიდი იყო, რომ კიბეებზე ვერ შევძელი ასვლა. ისღა დამრჩენოდა, მოვბრუნებულიყავი და უკან-უკან სვლით ავსულიყავი. ხალხი მიყურებდა და იცინოდა, ეგონათ, განგებ ვაკეთებდი – ვმსახიობობდი“.

ბატონმა შალვამ გამოცდები წარმატებით ჩააბრა. მისი ბედი ბოლო გამოცდას უნდა გადაეწყვიტა. კონკურსი დიდი იყო, ადგილების რაოდენობა – შეზღუდული, შესაბამისად, ჩაჭრაც ადვილი შესაძლებელი. თორმეტკაციან კომისიაში ერთ-ერთი წევრი აკაკი ხორავა იყო. მას ასეთი დავალება მისცეს: ჭიქიდან წყალი ისე უნდა დაელია, რომ ვერცერთ მათგანს ვერ დაენახა. „ბევრი არ მიფიქრია, – იგონებდა ბატონი შალვა, – გაბრაზებულმა ვუთხარი: მე ვინ ვარ თქვენთვის, ერთი ღარიბი გლეხის შვილი, თქვენ ჩემი ჩაჭრა გინდათ, ჭიქას ხელი დავავლე და ისე მოვიქნიე ვითომ მათთვის მინდოდა წყლის შესხმა. მათ, ინსტიქტურად, თავები დახარეს. მე კი წყალი სასწრაფოდ დავლიე და ცარიელი ჭიქა მაგიდაზე დავდგი. ყველა გულიანად იცინოდა“. ამ გამოცდამ გადაწყვიტა მისი ბედი. თავისი საზრიანობით აკაკი ხორავას გული მოიგო. მას მაშინვე უთქვამს: „მომაშორეთ აქედან და ამ ბიჭს ყურადღება მიაქციეთო“. ბატონი შალვა ასე გახდა 1965 წელს სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტი. სწავლის დამთავრების შემდეგ კი კვლავ მშობლიურ კუთხეში დაბრუნდა. მცირე ხნით მოღვაწეობდა ახალციხის სახელმწიფო თეატრში. როგორც თვითონ იგონებდა, იგი სამსახურიდან გააგდეს: „სამსახურიდან გაგდების მიზეზი ჩემი ხუმრობები გახდა. „დიდ მსახიობებს გაუმარჯოს“! – ასე ვესალმებოდი თანამშრომლებს. ეს მასხრად აგდებად ჩამითვალეს“. ასეთი უბრალო მიზეზით მოუწია მესხეთის თეატრის დატოვება, რაც დიდი დანაკლისი იყო თეატრისათვის. 1973-1975 წლებში იგი მუშაობდა გაზეთ „ასპინძის“ რედაქციაში. 1975 წელს კი მშობლიური კუთხის დატოვება მოუხდა, – თორმეტი წლის განმავლობაში წარმატებულად მოღვაწეობდა ქალაქ გორის სახელმწიფო თეატრში, იყო წამყვანი მსახიობი და სამხატვრო ხელმძღვანელი. გორში ყოფნის პერიოდში პარალელურად სწავლობდა პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, ასევე მუშაობდა მხატვრული კითხვის ხელმძღვანელად გორის მასწავლებელთა სახლში. როგორც თვითონ აღნიშნავდა გორში მოღვაწეობის პერიოდი იყო მისი ცხოვრების გამორჩეული პერიოდი. რადგან მან იქ დიდ შემოქმედებით წარმატებასაც მიაღწია და თან შეიძინა ბევრი გულითადი მეგობარი, რომელთაც სიყვარულით არაერთი ლექსი მიუძღვნა. მაგრამ, ცხოვრებისეული პრობლემების გამო, გორის დატოვება მოუხდა: „გორის თეატრიდან მოხუცი მშობლების გამო წამოვედი. ძალიან ბევრს მივაღწიე იქ და ვინანე, რომ უკან ველარ დავბრუნდი“. იგი მშობლიურ კუთხეში დარჩა, სადაც ერთგულად იღვაწა სიცოცხლის ბოლომდე. კერძოდ, 1988 წლის აპრილში დაინიშნა ადიგენის რაიონის კულტურის განყოფილების გამგედ. ოცდასამი წლის განმავლობაში ღირსეულად უძღვებოდა მინდობილ საქმეს და მრავალ სიახლესაც დაუდო სათავე: განსაკუთრებული წვლილი შეიტანა სახალხო დღესასწაულის – „ზარზმობის“ აღდგენაში, ჩამოაყალიბა რაიონის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელსაც „სახალხო ანსამბლის“ წოდება მიენიჭა, იგი ხელს უწყობდა კულტურის სფეროში დასაქმებულთა შრომითი პირობების გაუმჯობესების საქმეს, სახალხო მთქმელების, ხალხური რეწვის ოსტატთა გამოვლენას, აქტიურად ზრუნავდა ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობასა და მის დაცვაზე, მისი ინიციატივით შენარჩუნებული იქნა რაიონის საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი. საერთოდ, დიდია მისი დამსახურება ადიგენის რაიონის კულტურული ცხოვრების აღორძინების საქმეში. სწორედ მისი მუხლჩაუხრელი საქმიანობა გახდა საფუძველი იმისა, რომ იგი 1998 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

2010 წელს განხორციელებული რეორგანიზაციის შემდეგ, ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის სამსახურში კულტურისა და ძეგლთა დაცვის საკითხებში მთავარ სპეციალისტად იქნა გადაყვანილი, სადაც 2015 წლის მარტამდე იმოღვაწა.



შალვა კეღოშვილს, თავისი უანგარო, მუხლჩაუხრელი მოღვაწეობით დამსახურებულად აქვს მიღებული მრავალი ჯილდო, კერძოდ, 1995 წელს – საპატიო სიგელი ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ დათვალიერებაში მოპოვებული გამარჯვებისათვის; 1997 წელს – ხალხური შემოქმედების ოლიმპიადაზე გამარჯვებულის დიპლომი; 1998 წელს – ღირსების ორდენი. ასევე მიღებული აქვს განათლებისა და კულტურის სამინისტროების დიპლომები, სიგელები, იყო მხატვრული კითხვის ოსტატი და სამცხე-ჯავახეთის რეგიონის გამარჯვებული თამადა, მონაწილეა არაერთი ფოლკლორული დღესასწაულისა.

შალვა კეღოშვილი სამცხე-ჯავახეთში ლხინისა თუ ჭირის სუფრაზე უცვლელი თამადა იყო. პირველად, ცხრამეტი წლის ასაკში უთამადა ქორწილის სუფრას და ასე გაგრძელდა მისი სიცოცხლის ბოლომდე. 2009 წელს, ახალციხეში ჩატარდა თამადების რეგიონული კონკურსი, სადაც მან დამსახურებული გამარჯვებაც მოიპოვა.მან კონკურსზე სამი სადღეგრძელო წარმოსთქვა: ვაზზე,, დედასა და სიყვარულზე. საჩუქრად კი ხმალი და ფულადი ჯილდო გადეცა. თამადების პაექრობა შემდგომ გორსა და ბაკურიანშიც გაიმართა. ბაკურიანში ვახუშტი კოტეტიშვილმა შალვა კეღოშვილი სამცხე-ჯავახეთის თამადად „აკურთხა“ და, იმავდროულად, საქართველოს საუკეთესო თამადების ხუთეულშიც მოხვდა.

ცალკე განხილვის თემაა მისი სამსახიობო მოღვაწეობა. ძირითადად თეატრის მსახიობი იყო და, შესაბამისად, მესხეთისა და გორის თეატრების სცენაზე ორმოცდაათამდე როლი აქვს ნათამაშები. მისი საყვარელი როლი ოსურ კომედიაში – „ჩეფენაში“ შესრულებული ბოქაულის როლი იყო. თავისი არტისტიზმის წყალობით მაყურებლის სიყვარული და სიმპათია დაიმსახურა. ხშირად შეახსენებდნენ ხოლმე თავის როლებს და ერთგვარ საყვედურსაც ეუბნებოდნენ თეატრის მიტოვების გამო. მან ასევე რამდენიმე როლი ითამაშა ქართულ კინოშიც. კერძოდ, ფილმებში: „ნეილონის ნაძვის ხე“, „ივანე კოტორაშვილის ამბავი“ და სხვ.

შალვა კეღოშვილი სამსახურეობრივ საქმიანობას შესანიშნავად უთავსებდა ლიტერატურულ მოღვაწეობას. ჯერ კიდევ მოსწავლეობის პერიოდში დაიწყო ლექსების წერა. მისი ლექსები იმთავითვე შეიყვარა მკითხველმა, სისტემატურად იბეჭდებოდა ქართულ პერიოდულ პრესაში. მისი ლექსების თემატიკა მრავალფეროვანია, დიდი ნაწილი ეძღვნება ქალს. ბატონ შალვას ქალზე თავისი ამაღლებული შეხედულება ჰქონდა: „ქალი ყველა დროის მარგალიტია, ვერაფერი შეედრება მის საოცრებას“. ქალში, პირველ რიგში, დედას მოიაზრებდა. ამიტომაც იყო, რომ მრავალი გამორჩეული ლექსი მიუძღვნა დედას. ამასთანავე, ქალი მისთვის სილამაზის, მშვენიერებისა და სიცოცხლის სიმბოლო იყო. მან, ლექსების ერთ ნაწილში, არანაკლები გრძნობით წარმოაჩინა სამშობლოს სიყვარული. მრავალია ისეთი ლექსი, რომელთა წაკითხვისას გრძნობ გულის საოცარ ძგერას, იმავდროულად, დაგაფიქრებს, ამქვეყნად მოვლინების საკუთარ მისიაზე და ერისშვილობაზე... ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ კი, სიცოცხლის ბოლო პერიოდში დაწერილ ლექსებს, ფილოსოფიური ელფერი შესძინა. ბატონი შალვა გულწრფელად მსჯელობს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხზე, პოეტის დანიშნულებასა და, საერთოდ, ცხოვრების ავ-კარგზე. მისი ლექსების ენა თავანკარა ქართულია, ერთი ამოსუნთქვით იკითხება. მკითხველი კარგად გრძნობს, რომ ამ ლექსების მიღმა დგას გულმართალი და სულნათელი ნამდვილი მესხი კაცი. „დიდ პოეტებს სჩვევიათ ფსევდონიმით წერა“, – ამბობდა ხოლმე ბატონი შალვა და თავისი ნაფიქრი და ნააზრევი – საკუთარი პოეზია „ჩიხორიშელის“ ფსევდონიმით შესთავაზა საზოგადოებას. ამ ფსევდონიმის შერჩევაც არ იყო შემთხვევითი. ჩიხორიში მათი მამა-პაპეული სამკვიდრო იყო, რომელთანაც ბედნიერი ბავშვობა და სხვა მრავალი ტკბილი მოგონება აკავშირებდა.

1997-2014 წლებში ბატონი შალვა პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც. სადაც თავისი ადამიანიური თვისებებითა და ინტელექტით თანამშრომელთა და სტუდენტთა განსაკუთრებული სიყვარული დაიმსახურა. სწორედ ამიტომაც იყო, რომ მისი ნეშტი დასვენებული იქნა უნივერსიტეტის ეზოში, სადაც უკანასკნელი პატივიც მიაგეს.

შალვა კეღოშვილი მძიმე ავადმყოფობის შედეგად, 70 წლის ასაკში, 2015 წლის 13 დეკემბერს გარდაიცვალა. დატოვებული ანდერძის თანახმად მშობლიურ სოფელში, მშობლების გვერდით ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი. სწორედ მისნაირებზეა ნათქვამი: „კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს“.

**ნატო ყრუაშვილი**

### ნურც ნურავინ დამაჯეროს!

დღე და ღამე ლოცვით დავალ
სისხლით, ხორცით, შენთანა ვარ,
უფლის წილხვედრ მიწისა ვარ,
ქართველი ვარ განა სხვა ვარ.

შენი კენჭის სიმღერა ვარ,
შენი ლოდის გალობა ვარ,
ალგეთელთა ბოკვრისა ვარ
ბაგრატოვანთ მოდგმისა ვარ.

ახლა ღმერთთან შენთვისა ვარ,
მუხლმოყრილი, ქედმოხრილი,
ქართველი ვარ, აბა, რა ვარ,
საქართველოს ლოცვადა ვარ.

სხვა სამშობლო არ მაქვს, არა
ნურც ნურავინ დამაჯეროს, –
„ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის
ჩემი გული საქართველოს“!

### ერთიან საქართველოსი

ზარზმის ზმანების ზარი ვარ,
ხმა საქართველოს მდელოსი,
ჩემი სამშობლოს ლოცვა ვარ
ერთიან საქართველოსი.

მესხი ვარ, მესხის გული მაქვს,
ძარღვებს სისხლი სჩქეფს მესხების,
მშობელი მიწის ხნული ვარ,
ტოტი ვარ მუხის ფესვების.

რა არ მაქვს, შეხე რა არ მაქვს,
ცა, მიწა, ზღვა და მდინარე
მე ჩანჩქერი ვარ, ღვართ-ქაფი,
ჭულეში ჩამომდინარე.

მე სიმღერა ვარ, ლექსი ვარ,
ძახილი მესხთა ლელოსი,
ერთიან საქართველოსი,
ერთ მთლიან საქართველოსი.

შალვა კეღოშვილი

### როგორ გადადიან ბრმები ხიდზე

იყო ერთი მრავალშვილიანი კაცი. დღე და ღამე შრომობდა ოჯახის სარჩენად. მძიმე სამუშაოს ასრულებდა, ცოტას უხდიდნენ, სანახევროდ მშივრები იყვნენ, გამუდმებით რაღაც-რაღაცებზე უარის თქმა უწევდათ, საჭმლის ფული რომ ჰყოფნოდათ; თავი ძლივს გაჰქონდათ. ყოველდღე, საშოვარზე წასვლის წინ ღმერთს შველას სთხოვდა: „ყველას ეხმარები, უფალო, მეც რამენაირად დამეხმარე, ნუთუ მთელი ჩემი დღე და მოსწრება მძიმე ჯაფით უნდა მოვიპოვო სარჩო? ვის სახლი ეძლევა, ვის მემკვიდრეობა, ვილაცა კი რაღაცას პოულობს; მე კი, დაწყევლილივით, მხოლოდ დღიურ გასამრჯელოს ვშოულობ, არ გეცოდები? მუქთახორა და ზარმაცი ხომ არა ვარ, მაგრამ ძალა აღარ მაქვს, უფალო, გადმომხედე, მეც რამე გამომიგზავნე, რათა დავრწმუნდე, რომ მართლა არსებობო“. ბედს ისე უჩიოდა, ისე ემდურებოდა ღმერთს, რომ მან, ერთხელაც, შეისმინა მისი ვედრება და გადაწყვიტა, დახმარებოდა. გზაში ოქროთი გატენილი ქისა დაუგდო. გზად არავინ ჩანდა და ღმერთი დარწმუნებული იყო, რომ ამ კაცის გარდა ქისას ვერავინ აიღებდა, მაგრამ, ამ უბედურმა მუშა კაცმა, გზის შემოკლების მიზნით, ბოსტნებისკენ გადაუხვია.

მეორე დღეს, თავისი მწარე ბედით დაღონებული, ისევ გაუყვა გზას. ღმერთმა, ამჯერად, ფულით სავსე საფულე გადმოუგდო. ამ საცოდავმა კი ურმით მიმავალ მეზობელს მოჰკრა თვალი და სთხოვა, – გამოგყვებიო. გზაში მეზობელს შესჩიოდა და ღმერთს ემდუროდა: – ჩემ გარდა ყველას ეხმარებიო: „აბა, ერთი ჩემს ხელებს დახედე“, – უთხრა მეზობელს იმ დროს, როცა ღმერთის მიერ ჩამოგდებულ საფულეს ჩაუარეს. ღმერთი გაწყრა: „ტყუილ-უბრალოდ მემდურის. ხან ოქროთი სავსე ქისა დავუგდე წინ, ხან ფულით გატენილი საფულე, – ის კი, ხან გზას იმოკლებს, ხანაც, საუბარშია გართული, ხანაც, სულ სხვა მიმართულებით მიდის, რა ჩემი ბრალია, რანაირად დავეხმარო„?

ერთხელ, ამ კაცს, მეორე სოფელში გამოუჩნდა საქმე. ის სოფელი მდინარის გაღმა მდებარეობდა, მდინარეზე კი საცალფეხო ხიდი იყო გაკიდული.

ღმერთმა იფიქრა: „კარგი ადგილია. ავდგები და ოქროთი სავსე ქისას იქ დავახვედრებ, ხიდი ისეთი ვიწროა, რაც უნდა მოინდომოს, გვერდს ვერ აუვლის ქისას, ისე, რომ ვერ შეამჩნიოს, რადგან, სულ ძირს უნდა იყუროს, ხიდიდან რომ არ გადავარდეს. ბოლოს და ბოლოს, მეც დავისვენებ მისი გაუთავებელი წუწუნისაგან, თანაც, იმ სოფლისკენ, ამ ხიდის გარდა, სხვა გზა არ მიდის“.

დაცდა ამჯობინა, უნდოდა, დარწმუნებულიყო, რომ იმ ბედკრულმა ხომ არ გადაიფიქრა და ნამდვილად ხიდზე შედგა ფეხი. ამის მერე ხიდის შუაში ქისით მთელი ცხოვრების სამყოფი ოქრო დაუტოვა და იქაურობას გაეცალა. ჩვენმა საწყალმა მუშა-კაცმა კი, ერთი-ორი ნაბიჯი გადადგა და გადაიფიქრა: „მოდი, ერთი ვნახავ, ბრმები როგორ გადიან ხიდზეო“, – თვალები დახუჭა და ხიდის კიდემდე თვალდახუჭულმა გაიარა.

ნაზირა ვაჩნაძე,
რუსულიდან თარგმნა
ასმათ ფიცხელაურ-ფარჯიანმა

# სამცხე-ჯავახეთში გავრცელებული თურქულენოვანი ანდაზები

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ანდაზები ცხოვრებაზე, ხალხთა ურთიერთობაზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად ჩამოყალიბებული ხალხური სიბრძნის აფორიზმად დახვეწილი და ღრმააზროვანი მარგალიტებია, რომლებიც ძალიან ფართოდ არის გავრცელებული ყველა ხალხში და ურომლისოდაც როგორი ღარიბი იქნებოდა ამა თუ იმ ხალხის სულიერი საგანძური.

სამცხე-ჯავახეთი საკმაოდ მდიდარია თურქულენოვანი ანდაზებით. ამ ანდაზებს ადრე ხმარობდა სამხრეთ საქართველოსა და შიდა ქართლის მოსახლეობა, განურჩევლად ეროვნებისა. ამ ანდაზების ცოდნისა და გამოყენების ძირითადი პირობა მდგომარეობდა თურქული ენის ცოდნაში. ვინც თურქული ენა იცოდა, ის თავისუფლად იყენებდა ამ ანდაზებს საუბარში შესაფერი სიტუაციის შექმნის დროს, ხოლო სამცხე-ჯავახეთში, გარდა თურქებისა და გამაჰმადიანებული ქართველებისა, თურქულ ენას კარგად ფლობდნენ: ქართველები, სომხები, ბერძნები, ებრაელები და სხვ.

თურქული ენის გავრცელება სამცხე-ჯავახეთში, განსაკუთრებული ინტენსიურობით დაიწყო მე-16 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან, როცა თურქებმა მიიტაცეს სამხრეთ საქართველო, რომლის ერთ-ერთ უდიდეს ნაწილს წარმოადგენდა ისტორიული სამცხე-ჯავახეთი. ამ დროიდან მოყოლებული, შექმნილი ვითარების გამო, თურქულმა ენამ თანდათან გზა გაიკაფა ადგილობრივ მოსახლეობაში და, ბოლოს, ფეხი მოიკიდა მათ ყოფა-ცხოვრებაშიც, რასაც ხელი თურქული მმართველობის შემოღებამ, მკვიდრი ქართველი მოსახლეობის გამაჰმადიანებამ და თურქთა ასიმილირებული მიზნების უაღრესად უხეშმა პოლიტიკამ შეუწყო. ასე რომ, თურქთა ხანგრძლივმა ბატონობამ სამცხე-ჯავახეთში, თავისთავად, გააფართოვა აშუღური პოეზიის ასპარეზი და ეს მხარე იქცა თურქი აშუღების სარბიელად.

დროთა განმავლობაში გამოვლინდნენ არათურქი სახალხო მთქმელებიც, აშუღები და სხვ. მოწინავე ადამიანები, რომელთაც თავიანთი მოკრძალებული წვლილი შეჰქონდათ ადგილობრივ ფოლკლორში, რის შედეგადაც შეიქმნა ხალხური შემოქმედების თურქულენოვანი ნიმუშებიც, რომელთა შექმნაში თავიანთი უტყუარი ღვაწლი მიუძღვით ადგილობრივ ქართველებსაც... სამცხე-ჯავახეთის მკვიდრ მოსახლეობაში გავრცელებული თურქულენოვანი ანდაზები უაღრესად ყურადსაღებია და მათი შეგროვება - გამომზეურება გადაუდებლად საშური საქმეა, იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, მათ შექმნაში ქართველ ხალხსაც მიუძღვის წვლილი და, მეორეც, იმიტომ, რომ, ორიოდე ათეული წლის შემდეგ, ეს ანდაზები სამცხე-ჯავახეთში გაქრება, რადგან მათი მცოდნე ადამიანებიც უკვე აღარ იქნებიან ცოცხალთა შორის.

აქ წარმოდგენილი ანდაზების ნაწილს არ ემჩნევა ნაციონალური ელფერი, რის გამოც მისი შემქმნელი ხალხის დადგენა ძალიან ძნელია. ისინი განეკუთვნებიან აღმოსავლეთის სხვადასხვა ხალხებს, ხოლო ნაწილი ისეთია, რომელთაც აშკარად ემჩნევა ან ანტიმუსლიმური ელფერი, ანდა, ქართული შესაბამისი ანდაზების თითქმის თარგმანს წარმოადგენს. ასე მაგალითად: „მუსლიმანი რაც გინდა სწორი იყოს, ნამგლისოდენა სიმრუდე მაინც ექნებაო“. შეუძლებელია ის მუსულმანი ხალხის შექმნილი იყოს. იგი აუცილებლად მოდის ქრისტიანული სამყაროდან და, ისიც, ისეთი ხალხისაგან, რომელთაც ბევრჯერ უგემნიათ თურქული ვერაგობა და სცნობიათ მუსულმანი ერები.

საკმაოდ დიდია ისეთი ანდაზების რიცხვი, რომელთაც ქართულში მოეპოვებათ ზუსტი, ადექვატური შესატყვისი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს ანდაზები თურქულ ენაზე აამეტყველა ადგილობრივმა გამაჰმადიანებულმა ქართველმა მოსახლეობამ მას შემდეგ, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თურქული ენა გავრცელდა მათ შორის. აი ეს ანდაზები:

„ხელი ხელსა ჰბანს და ორივე პირსაო“;
„წყალი წავა და ქვიშა დარჩებაო“;
„ცხვარში მგელი ჩავარდა და ვაი ცხვრის
პატრონსაო“;
„ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო“;
„წამსვლელი გზას უნდა ადგესო“;
„ხარი ფაშისა და სახრე ტყისაო“;
„ხარს ხართან თუ დააბამ, ან ზნეს იცვლის,
ან ფერსაო“;
„სიტყვა სიტყვის ბერკეტიაო“;
„რასაც კაცი თავის თავს უზამს, ისე ქვეყანა
ვერ უზამსო“;
„მთა მთას არ შეხვდება, კაცი კაცს შეეყრებაო“;
„ათჯერ გაზომე და ერთჯერ გასჭრიო“;
„თხა სიცოცხლის დარდში იყო, ყასაბი —
ქონისაო“
და სხვ.

მაჰმადიანური სამყაროს მძიმე უღლის ქვეშ მგმინავი ხალხები, მათ შორის ქართველი ხალხი, გაჭირვებისა თუ ოდნავ დალხინების დროს, გენიალური რუსთაველის სწორუპოვარი აფორიზმებითა და ხალხური სიბრძნის მარგალიტებით ინუგეშებდა და იმხნევებდა თავს. ჭირში ქვითკირივით გამაგრებას უკარნახებდა თანამოძმეებს, იკრებდა სულიერ ძალ-ღონეს და სჯეროდა, რომ: „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო“, ე.ი. — ამ შემთხვევაში, ყველა უბედურება მოარულია, წყალივით მოვა და წავა, მაგრამ ქვიშა — საფუძველი, ერის ძირი და ლიბო, მარადია და უძლეველი. ეს ხომ ამა თუ იმ ხალხის სულიერი სიმდიდრის, მისი ეროვნული თავისებურებებისა და თვითმყოფადობის უტყუარი მხატვრული აღიარებაა.

ანდაზები ხალხის სიბრძნის, მისი ცოდნისა და გამოცდილების ჩამონაჟური სტალაგმიტებია, რომელთაც იგივე ხალხი და, ხშირად, სხვაც, დროისა და მდგომარეობის შესაფერისად, ჟამთასიავის დროს შემოწოლილი უკუნის გასანათებლად ან დასაგმობად იყენებდნენ.

**არსენ კარაპეტიანი,**
*ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი.*
*1987 წელი, ქ.ახალქალაქი*

### ა

ადამიანს გაჭირვებაში გამოსცდიო.
ათასი იცი, ერთ თქვიო.
ათასი მშრომელი და ერთი მჭამელიო
(კარგიაო).
ათასჯერ ყურით მოსმენილს, ერთჯერ
თვალით ნანახი სჯობიაო.
ათასი იცი, ერთის მცოდნესაც ჰკითხეო.
ათასჯერ გაზომე და ერთჯერ გასჭერიო.
ალეპოს გზაზე ვირის კვალიო.
ამ წვიმას რა თოვლი გაუძლებსო.
ამ სიცხეს რა თოვლი გაუძლებსო.
არ გაიხაროს მონადირემ, მითუმეტეს —
მებადურმაო.
არ წვიმხარ, არა, დაიქუხო მაინცო.
აღმართულ მახათს ხელი არ დაირტყმისო.
ამოუსვლელ სულში ბევრი იმედიაო.
არის კაცი, რომ კაცობის ქარგია
(ჩუქურთმაა), კაციც არის, ვირი მასზე კარგია.
ახალგაზრდა ხარ, დრო დააფასე,
მოხუცდები და ინანებო.
ახალგაზრდა ცოლი, მოხუცი ქმარი?
(ე.ი. შეუფერებელიაო).
ახლად გამდიდრებულმა დოვლათის
ყადრი არ იცისო.
ახალგაზრდას უკულმართი სიტყვა აქვს,
თავს აატკივებსო.
არც თაფლის მყიდველის საქმეში გავერევი
და არც ბაქმაზის გამყიდველისო.
არავის ჭრაქი გათენებამდე არ
ანთებულაო.
არ შევეხვეწები მოლას, დაე, ლომმა
შემჭამოსო.
არ მინდა შენი არც კვერცხი და არც
ყვედრების ცეცხლიო.
არც ჭამს და არც აჭმევსო.
აქლემს ბალახი რომ უნდოდეს, კისერს
წაიგრძელებსო.
აქლემი რას ოცნებობდა და მეაქლემე რასაო.
აქლემს ციცხვით არ დაარწყულებენო.
არც შამფური დაიწვას და არც მწვადიო.
ან წავა და წაიღებს, ან მოვა და მოიტანსო.
აშუღმა თქვა: ენჯად დაჯექ,
გალაღდი და ბურჯად დაჯექ,
სადაც სიტყვა არ გაგივა,
ხმა ჩაიგდე, მუნჯად დაჯექ.

### ბ

ბაირამის შემდეგ ინაო (ე.ი. გინდ ყოფილა,
გინდ არაო).
ბავშვი თუ არ ტირის, ძუძუს არ მისცემენო.
ბაღდადში ხურმა ბევრიაო (ვითომ ჩვენ რაო).
ბედი მომეცი და ველად გამიშვიო.
ბედი მომეცი, მოდი და დამეწვიეო.
ბედისწერა არ შეიცვლებაო.
ბეგისგან მოსულიც ბეგიაო.
ბევრის მცოდნე დიდ შეცდომას დაუშვებსო.
ბევრი ტკბილეულის მყლაპავს მწარე
გაქარიანება ექნებაო.
ბევრი ტკბილეულის მჭამელს ცუდი
მონელება ექნებაო.
ბევრი იყოს და შავი იყოსო.
ბევრი არევ-დარევა საქმეს წაახდენსო.
ბევრი იქებს თავსაო და უსინათლო —
თვალსაო.
ბოშა უკრავს, ქურთი ცეკვავს, მე ასეთი
სანახაობა არ მინახავსო.
ბრმა გინდ აქა და გინდ ბაღდადშიო.
ბრმა ვისაც დაიჭერს, იმას გაუსწორდებაო.
ბრმა ვერ ხედავს, მაგრამ საზღვრავსო.
ბრმა როგორც შეხედავს ღმერთს,
ღმერთიც ისე დახედავს ბრმასაო.
ბრმას რა უნდა და — ორი თვალიო —
ერთი ლურჯი და ერთი შავიო.
ბეღურა რა არის, რომ მისი ბარკალი რა
იყოსო.
ბრმასა და კოჭლს ერიდეო.
ბუხრის სიმრუდეს რას უყურებ, ბოლი
სწორად ავიდესო.
ბუღა რომ გასუქდება, მიწას თავზე
გადაიყრისო.
ბრალი მკითხე და მერე მომკალიო.
ბატონს თავისი ბრძანების შესრულება
ესიამოვნებაო.

(გაგრძელება იქნება)

## ქართული კულტურის ახალი სტრატეგია

ამ დღეებში ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში მოეწყო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სტრატეგიის — „კულტურა – 2025“ დოკუმენტის სამუშაო ვერსიის წარდგენა.

წარდგინებაზე მოწვეულები იყვნენ რეგიონის მუნიციპალიტეტების კულტურის სფეროს პასუხისმგებელი მუშაკები და დაინტერესებული პირები.

შეხვედრა გახსნა და მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა **მიხეილ გიორგაძემ,** რომელმაც ვრცლად ისაუბრა კულტურის სამინისტროს 2025 წლამდე პერიოდში განსახორციელებელ ღონისძიებათა სტრატეგიულ მიმართულებებზე.

მინისტრის მოადგილემ **ლევან ხარატიშვილმა** ღრმად და შინაარსიანად ჩამოაყალიბა სამინისტროს 2025 წლამდე პერიოდის სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები, რომელთა განხორციელება შესაძლებლობას მოგვცემს რადიკალურად შეიცვალოს კულტურის სფერო და მნიშვნელოვანი სასიკეთო ძვრები მოხდეს მთლიანად სისტემაში. ამ მიმართებით გამოიკვეთა რვა ძირითადი სტრატეგიული მიმართულება, რომელთა შორის აუცილებელ მიმართულებად მიჩნეულია: *ცნობიერების ამაღლება და განათლება; კულტურის ხელმისაწვდომობა და მრავალფეროვნება; შრომის ანაზღაურება და სოციალური გარანტიები; კულტურის ინფრასტრუქტურის განვითარება; კულტურისადმი ფინანსური მხარდაჭერა; კვლევებზე დაფუძნებული კულტურის პოლიტიკის შემუშავება; კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიის საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაცია.*

მომხსენებელმა თითოეულ სტრატეგიულ მიმართულებაზე ღრმად და შინაარსიანად ისაუბრა, რამაც დამსწრეთა ინტერესთან ერთად მათი მოსაზრებებისა და შენიშვნების მრავალფეროვნება გამოიწვია.

კულტურის სტრატეგიის სამუშაო ვერსიის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ **გურამ მელიქიძემ,** გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორმა **ვალერიან ლომიძემ,** მესხეთის სახელმწიფო თეატრის რეჟისორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა **ლია სულუაშვილმა,** ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა **ვიოლეტა ბალახაშვილმა,** ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებელმა **დიმიტრი ყიფიანმა** და სხვებმა.

საკუთარი მოსაზრებები გამოთქვა და ღონისძიება მიჰყავდა მხარის გუბერნატორს **აკაკი მაჭუტაძეს.**

*საკ. ინფორმაცია*

## „არავი” თავის სიტყვას იტყვის

ბავშვის დაბადება ოჯახში, ახალი სიცოცხლის დაბადებაა, მომავლის იმედია... მთავარია, როგორ გაზრდი, რა გარემო შეუხვდება...

ასეა ახალი ჟურნალის, გაზეთის დაბადებაც, რომელმაც სულიერი საზრდო უნდა მისცეს საზოგადოებას.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ახლახან ახალი სალიტერატურო ჟურნალის — **„არავი“-**ს ამქვეყნიური მოვლინება გვამცნო. ეს, თითქოს, ჩვეულებრივ ამბად უნდა მიგვეღო, რადგან, უნივერსიტეტში, არაერთი წიგნი, ჟურნალი, გაზეთი გამოსულა და მათ თავიანთი სიტყვა უთქვამთ ჩვენი ახალგაზრდების ქართული, ეროვნული სულისკვეთების აღზრდის საქმეში, მაგრამ ჟურნალი „არავი“ სულ სხვაა, სხვა დატვირთვა აქვს მას.

ჟურნალის შესავალ ნაწილში *(მერაბ ბერიძე)* განმარტებულია: — **„არავი არს ქარი სამხრეთით, განმადნობელი ყინვათა“** *(სულხან-საბა ორბელიანი).* სახელწოდება — არავი“-ს გამოტანასაც თავისი დატვირთვა აქვს, ჟურნალმა ახალი, მივიწყებული ქართული სიტყვის წინა პლანზე წამოწევის მიზნით კი არა, იმ წინააღმდეგობათა, ბარიერების „ყინვათა გამადნობლის“ როლი უნდა შეასრულოს, რომლითაც სავსეა დღეს ქართული სალიტერატურო ცხოვრება და, თითქოს, დაკარგულიც კი აქვს თავისი ფუნქცია.

ქართულმა სიტყვამ, ქართულმა მწერლობამ რომ ქართველი ერის გადარჩენის საქმეში უმთავრესი როლი შეასრულა, ამას მტკიცება არ სჭირდება. ლიტერატურის გადარჩენა, ენის გადარჩენაა, ქართული ენის, რომელსაც განსაკუთრებით ახლა უნდა სათუთი მოქცევა — „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“! — ბრძანებს დიდი ქართველი და ქართული სალიტერატურო ჟურნალის გამოცემაც, მით უმეტეს, სამხრეთ საქართველოში, ქართული სიტყვის აღორძინების ტოლფასია, სულიერების გადარჩენაა, მტკიცე ბალავარის ჩაყრაა მისი უკვდავებისათვის.



სარედაქციო საბჭოს, რომლის შემადგენლობაშია *მერაბ ბერიძე* (თავმჯდომარე), *ვასილ მამულაშვილი* (მოადგილე, რედაქტორი), *მაკა კაჭკაჭიშვილი-ბერიძისა* (მოადგილე), *ნიკო ახალკაცი, ლალი ბერიძე, გივი ბუცხრიკიძე, ლია ზაზაშვილი, ვახტანგ ინაური, მალხაზ ლომსაძე, ლერი ნოზაძე, მაია ქუქჩიშვილი, როინ ყავრელიშვილი* , — ძალუძს თავისი დიდი გამოცდილებით, ერუდიციით და, რაც მთავარია, შემოქმედებითი ნიჭით, კიდევ უფრო ააღორძინოს ქართული მწერლობა ძირძველ მესხურ მიწაზე.

ჟურნალი „არავი“ ყოველთვიური სალიტერატურო გამოცემაა და იგი ხელმისაწვდომია ქართული ლიტერატურისა და კულტურით დაინტერესებული ადამიანებისათვის.

**ავთანდილ მესხი**

ახალი გამოცემები

## წიგნი, რომელიც ყურადღების ღირსია

იყო დრო, როდესაც წიგნის გამოცემა დიდ პრობლემას წარმოადგენდა მთელი ქვეყნის მასშტაბით, რადგან იგი მთლიანად სახელმწიფოს მიერ იყო მონოპოლიზირებული და ყველას არ მიუწვდებოდა ხელი ამ სიკეთეზე. ახლა, როცა დრო შეიცვალა, წიგნის გამოცემა არავითარ პრობლემას



აღარ წარმოადგენს, მთავარია გქონდეს ფული და წიგნიც დაისტამბება. ბევრი ავტორი საკუთარი წიგნის გამოცემით გულის ჭიას ახარებს, ზოგიერთი გამოცემა კი ქვეყნის ინტერესების თანხვედრი და ერის კულტურის მანიშნებლია.

ახლახან ქართველმა მკითხველმა მესხურ ვაზზე საინტერესო წიგნი მიიღო. იმის მიუხედავად, რომ ქართულ ვაზზე არაერთი საინტერესო სტატია, სამეცნიერო ნაშრომი, გამოკვლევა თუ მონოგრაფია შექმნილა, ცალკე, მესხური ჯიშის ვაზზე — იშვიათობას წარმოადგენს. არადა, დრო იყო, სამხრეთ საქართველოში მევენახეობა განსაკუთრებულად ყვაოდა, მესხური ღვინო განთქმული იყო როგორც აღმოსავლეთის, ასევე სამხრეთის რეგიონებში. უფრო მეტიც, გასული საუკუნის 40-60-იან წლებში კავშირის მასშტაბით მესხეთში მევენეხეობის განვითარება დიდი პერსპექტივების წინაშე დადგა.

ამ მხარეში მევენახეობის განვითარებაზე მეტყველებს არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მრავალი ექსპონანტი, — განსაკუთრებით ვარძიასა და ვანის ქვაბებში. ამიტომ მესხური მევენახეობა განსაკუთრებული ყურადღების ღირსია.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება ახალციხის მკვიდრის, დიდი მიხეილ თამარაშვილის შთამომავლის, რეზო გიქოშვილის მიერ ახლახან გამოცემული წიგნი — „მესხური ვაზი და ღვინო“. მესხურ მევენახეობაზე ეს ახალი გამოცემა, მართლაც მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია. აქ მკითხველი გაეცნობა ვაზის მესხურ ჯიშებს, მისი გაშენების პირობებს, — აქვე შეტანილია ვაზის გაშენების რეკომენდაციები, ცალ-ცალკე განხილულია მესხური თეთრყურძნიანი თუ წითელყურძნიანი ვაზის ჯიშები, მათი მოვლა-პატრონობის პრინციპები, ღვინის დაყენების ტექნოლოგია და სხვ.

წიგნში მრავლადაა წარმოდგენილი აგრეთვე ფოტო-დოკუმენტური მასალები, რომელიც მას უფრო ღირებულსა და საინტერესოს ხდის.

*საკ. ინფორმაცია*

# დღესასწაულები და დღესასწაულებთან დაკავშირებული წესები

*(გაგრძ. დასაწყ. იხ. №1,2,12; 2015, №1-2, 2016)*

## ბერიკობა

ყველიერის ბოლოს, ან ქორწილი რომ დამთავრდებოდა და ქეიფი რომ მომთავრდებოდა, ერთს ბერიკად მორთავდნენ, ტანზე გადმობრუნებულ ქურქს ჩააცმევდნენ, თავზეც გადმობრუნებულ ქუდს დახურავდნენ, დიდრონ წვერებს გაუკეთებდნენ მატყლისას ისე, რომ მუცელზე სწვდებოდათ. ულვაშებსაც ასევე დიდრონს უკეთებდნენ, ბეჭებში რამეს შეუდებდნენ, რომ კუზიანი გამოჩენილიყო, წელზე ხშირად ძველ, დაჟანგულ ხმალს ან ხანჯალს, ხშირად ხისასაც – შემოაკრავდნენ, მეორეს კი, ქალად მორთავდნენ, სახეზე ჩატას ჩამოაფარებდნენ, ვირზე შესვამდნენ. არანაკლებ სასაცილოდ მორთავდნენ, გამყოლებსაც – „მსახურებს“. გუდასტვირით ან ზურნით მიდიოდა ბერიკა და მისი ამალა. მაყურებლებიდან ცდილობდა ყველა პატარძლის (ვირზე შესმული ქალის) მოტაცებას. ბერიკა და მსახურები დაედევნებოდნენ, სცემდნენ და წაართმევდნენ ისევ. ასე დიდხანს ირთობდნენ თავს მასხრობითა და სიცილით. ბოლოს, ვითომ, ბერიკა მოკვდებოდა. წამოწვებოდა. მიდიოდა „პატარძალიც“, თავს დასტრიალებდა, „ტირილით“ გულს რომ იჯერებდა და მაყურებლებიც სიცილით დაკმაყოფილდებოდნენ, „პატარძალი“ კაბას აიწევდა და ვითომ ყურში ჩააფ...ა, წამოხტებოდნენ. ბერიკა ვითომ გაცოცხლდებოდა. ამით მოათავებდნე ბერიკობას.

ბერიკა და მისი ამალა ისე არაჩვეულებრივ იყვნენ მორთულნი, რომ ბავშვებს ეშინოდათო – ამბობდნენ.

აქ ბერიკობა სახალხო გასართობს წარმოადგენდა.

***

დიდმარხვის დაჭერის დროს, ხშირად იცოდნენ: ზოგიერთებმა პირველ დღეს: ნაჭრობააო და ამ დღეს კიდევ სჭამდნენ მარხვას. მეორე დღეს: „ნამცეცობით“; შემდეგ კი იჭერდნენ დიდ მარხვის პირველ დღეს. დამწვრისას უქმობდნენ მეორე დღეს – „დამხვრჩალისააო“, მესამე დღეს „ ჩიჩქისას“, – შუა მარხვაში (მარხვა რომ გაიყოფოდა). შუა მარხვობას უქმობდნენ: „ამ დღეს ვინც რას გააკეთებს, შუა გაეყოფაო“. ამიტომ არავინ ისეთ საქმეს ხელს არ ახლებდა, შუა არ გამეყოსო. ერთი ირწმუნება: მე სასინჯად ფრჩხილი მოვიჭერი და შუა გამეყოო“. ოჯახშიც საქმე ან დილით შუადღემდე უნდა ეკეთებინათ, ან შუადღის შემდეგ. მარხვის მეორმოცე დღეს „ორმოცობას“ იჭერდნენ. ამ დღეს უქმობასთან ერთად ორმოცჯერ მუხლი უნდა მოეყარათ ორმოცი ანგელოზის სახელზე.

## ბზობა

*(აღდგომის წინა კვირა)*

ამ დღეს, გარდა მღვდლის მიერ წირვის დაყენებისა, ბზის დარიგებისა იცოდნენ – თოვლს მოიტანდნენ და, როგორც საქონელს, ისე თვითონ გადაიფრქვევდნენ ტანზე, ბუზები არ დაგვერევაო.

დიდ ოთხშაბათს: ამ დღეს ასკილს მოიტანდნენ, რომ მისაღამოვდებოდა, კარებზე, ერდოზე, ბუხარზე და ყველგან თვითონ ჭურჭელზეც კი ერთ-ორ ასკილს დატოვებდნენ, რომ ეშმაკები არ მიეკარნენო. ასკილთან ერთად გარშემო წრეს შემოავლებდნენ, ზოგი თავის მთელ ეზოსა და კარმიდამოს. წარმოიდგინეთ, სანახვესაც კი, რომ ეშმაკები არ მიკარებოდნენ.

წინდაწინ მომზადებულ კაჭაჭსა და თივი ცეცხლს დაანთებდნენ, ზედ ხტებოდნენ და თან იძახდნენ: „ალილუია ეშმაკებსაო, შიგ ჩაიწვნენო“! ნაცარს მეორე დღეს მოფანტავდნენ, დიდ ეზოში ეშმაკები ვერ მიეკარებიანო.

დიდ ოთხშაბათის ღამესაო, – ამბობენ – კუდიანებს, რომელთაც ბუხრის კერის ქვეშ აქვთ დამალული პატარა უნაგირები, ყველას რომ ჩაეძინება, ამოიღებენ, კატას ან ძაღლს დაადგავენ, ზედ შეჯდებიან და ბუხრიდან აფრინდებიან და ეშმაკებთან წავლენო. ერთ ასეთ ღამეს გავრცელებულია ასეთი ამბავი: ყველა კუდიანმა მოიყარა თავი, ერთად თავეთ დანიშნულ ადგილზე. იმათშიც წერია ახალი კუდიანიც. აბა, ვინ რა საჩუქარი მომართვითო – იკითხა. საშინელი სახის ტარტაროზმა, თურმე, ამ ახალმა კუდიანმა, აიღო ერთი დიდი ლოდი და შიგ პირში ესროლა. აი ყოჩაღ, აი კარგი „საჩუქარიო“ – შეაქო ტარტაროზმა (ეშმაკებისა და კუდიანების უფროსმა), სხვებმაც კიჟინა ატეხეს: ზოგმა დიდი და ზოგმა პატარა ქვა ესროლა. ვინც დიდ ქვას ესროდა, იმას აქებდა, ვინც პატარას, – იმას უწყრებოდა თურმე ის წყეული. დილით წამოვიდა, ნახა ახალმა კუდიანმა რო, რომელიც კარგი ფურ-კამეჩი ჰყამდათ, მოჰკდომიათ. ამ ღამეს კუდიანები ათას ბოროტებას სჩადიოდნენ: ზოგის სახლში ჩადიოდნენ და ზიანს აყენებდნენ, ზოგს ჭურჭელს უპილწავდნენ, იმიტომაც კარგია ასკილის დასობა კარ მიდამოზე, ბანზე და ჭურჭელზე დატოვება, რადგანაც ასკილს ვერ ეკარებიან.

ამ ღამეს ერთი რომელიმე ქალთაგანი: პატარძალი ან ქალიშვილი, განთიადისას ადგებოდა ისე, რომ ხმა არ უნდა ამოეღო, ჩაიცვამდა და დაგრეხდა წითელ ნართისა და თეთრ ბანბის წმინდა თოკს: შემდეგ, ასევე ხმის ამოუღებლად, ყველას მაჯაზე მოაბამდა უმძრახებს – მაჯაზე შემოავლებდა დაგრეხილ თოკს და შეჰკრავდა. ასეთ უმძრახის თოკებს დააბამდა, როგორც ოჯახის ყველა წევრს, ისე საქონელს კუდზე, ცხვარს – კისერზე და ჭურჭელსაც – ყურებზე – ხელმოსაკიდზე. ამის შემდეგ წავიდოდა წყაროზე, მილზეც მოაბამდა, თან უმძრახს წყალს მოიტანდა, რომლითაც თავის დაბანა, კარგიაო, – ამბობენ. უმძრახებს ამაღლებას იხსნიდნენ, მოზარდები ზედ ქვას მოაბამდნენ, მაღლა შეისროდნენ და იტყოდნენ: ღმერთო, ამ სიმაღლეზე გამზარდეო“! ამ დღეს უმძრახად ვისმეს რომ უძირო კლდისათვის (უძრავი კლდისათვის) ჩამოენტვრია, ის შიშის წამლად ითვლებოდა. დაფხვნიდნენ, უცეცხლო თაფლში გამოლესავდნენ და ისე შეასმევდნენ შეშინებულს.

*(გაგრძელება იქნება).*

*მთქმელი* ***სიკო მელიქიძე,*** *ბორჯომის რაიონი, სოფელი ბალანთა, ჩაიწერა* ***გიორგი ზედგინიძემ*** *1948 წელს*

### ხალხური პოეზია

## იარალი

მაჰმუდ იარალაშვილი იარალის ფსევდონიმით ყოფილა ცნობილი. იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მე-19 საუკუნის ბოლოს. იარალი საკმაოდ ცნობილი აშული ყოფილა. მესხეთის ბევრი სხვა ქართველი აშულის მსგავსად, იარალსაც თავისი სიმღერები შეუქმნია და უმღერია თურქულ ენაზე.

იარალი თურქულ-აზერბაიჯანულად ნიშნავს „დაჭრილს“ (იგულისხმება ტრფობისაგან დაჭრილი) და, რადგან გვარიც ამ ძირს შეიცავდა, აშულს მოხერხებულად შეურჩევია ფსევდონიმად „იარალი“ (დაჭრილი).

***

შუადღის და საღამოს გარიჟრაჟზე,
სატრფოს ბაღში ვარდი ვნახე დალალით,
დავიწვი და დავიფერფლე უმალვე,
იარალი ვარ, სატრფოს ხელით „იარალი“.

მხიბლავს მისი სილამაზე, ზრდილობა,
შავ წარბების შუბლზე გადაშლილობა,
ზოგი ხანჯლის, ზოგი დანის ჭრილობა,
იარალი ვარ, სატრფოს ხელით „იარალი“.

დაჭრილ ჩიტმა თავი ბაღს შევაფარე,
ჭრილობები გამეხსნა და ვფართხალებ,
წუთისოფლის ანგარიშებს ვაბარებ,
იარალი ვარ, სატრფოს ხელით „იარალი“.

## მეფე და ვეზირი

ირანის შაჰმა თავისი ვეზირი წაიყვანა ბაღში. ბაღი ზოგან ყვავის, ზოგან იკრიფება, სულ წალკოტი იყო. მეფემ უთხრა ვეზირს: ჩემზე ბედნიერი ვინ არიო? ვეზირმა უპასუხა: დიდო შაჰო, ბედნიერი მაშინ იქნები, თუ ამ ბედნიერებით ჩახვალ სამარეშიო. განრისხდა შაჰი და ბრძანება გასცა – თავი მოჰკვეთეთო. ვინ არ შეასრულებდა შაჰის ბრძანებას. მოჰკვეთეს თავი ვეზირს.

არ გასულა დიდი დრო, შემოესია მეორე სახელმწიფო, შაჰს ბორკილები დაადეს და გამარჯვებულ მეფესთან მიიყვანეს. მაშინ გაახსენდა შაჰს თავისი ვეზირის ნათქვამი – ბედნიერი მაშინ იქნები, თუ ამ ბედნიერებით ჩახვალ სამარეშიო. მან უკვე თავისი თავი დამარცხებულად და ყველანაირად დამცირებულად იგრძნო, როდესაც ბორკილდადებული მიჰყავდათ გამარჯვებულ მეფესთან. გზაში სულ მოსთქვამდა და მოსთქვამდა: აღსალმუნ, აღსალმუნ *(ადამიანის სახელია. რედ.).* მეფე დაფიქრდა და თავის მხლებლებს უთხრა: ერთი შეეკითხეთ, რატომ იძახის: – აღსალმუნ, აღსალმუნო. ჰკითხეს, – რატომ იძახი ასეო? შაჰი მოუყვა თავის დანაშაულზე, – თავისი ვეზირი თუ როგორ უნებლიედ, მოუფიქრებლად, დასაჯა და თავი მოჰკვეთა. – იმ მომენტში ბედნიერი და ძლიერი ვიყავი, სახელმწიფო ძლიერი მქონდა და, რა ვიცოდი, თუ ამ დღეში ჩავარდებოდიო.

დაფიქრდა გამარჯვებული მეფე და, მასთან ერთად, ყველა სახელმწიფოს მეფე, რომელიც ბორკილდადებული ჰყავდა, გაათავისუფლა და თქვა: ხომ არ ვიცი, ხვალ და ზეგ მე რა მომელისო.

*მთქმელი* ***ანზორ ჯვარიძე,*** *მოსმენილი აქვს 1966 წელს მამისაგან –* ***არჩილ ჯვარიძისაგან,*** *69 წლის, ჭობარეთი. ჩაწერილია 2016 წელს*

## ეშმაკი მელა

მელია კრძალვით მივიდა ლომთან,
– უფროსო, მტანჯავს ჯავრი და ელდა,
ვიცი, ენდობი ჩემს სიტყვას, ბრძენი, –
მინდა იცოდე, ვინცა გყავს მტერი.

მაჩვი – სიმინდის საწყობის გამგე
სიმინდს იპარავს, სასახლეს აგებს,
ტურა – საქათმის გამგები კრული,
ქათმებს იპარავს, – აივსო ფულით.

იმის ნაცვლად, რომ გაამონ რამე,
აქეთ გითხრიან ძირს დღე და ღამე.
ჰოდა, მიხედე ქურდებს, ყაჩაღებს,
ვიდრე მტრის ძალა გაგაჩანაგებს.

– გმადლობთ, მელიავ, ერთგულო, დიდად,
მაჩვის ადგილზე გაგიშვა, მინდა!
– ო, მბრძანებელო, შენ გაიხარე,
ტურის ადგილი მიბოძე, ბარემ!

ლომმა ანაზდად შეიკრა წარბი:
მასში იხილა ცხოველი ხარბი:
– მელავ, ცბიერო, მოწმე ღმერთია,
მათი ხელფასი, იცი, ერთია.

ტურის ადგილზე გრჩება თვალები,
რადგან სიმინდს გმობ, ხორცს ეტანები.
მიგიხვდი ზრახვას, ბნელს, სავაგლახოს,
გამშორდი, თვალით არ დამენახო!
.
იგავის მორალს მიხვდება ყველა,
ზოგი კაცუნაც ჰგავს ცბიერ მელას...

თედორე მელიქიძე
*ბორჯომი*

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მეოხია ლიანა მანჩხაშვილი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: **www.scribd.com; facebook:** ლიტერატურული მესხეთი

**დამფუძნებლები:** ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
**სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17**

**ქ. თბილისში გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ შეძენა შეგიძლიათ თავისუფლების მოედანზე – ალ. პუშკინის ქ. №5–ის წინ, მეტრო „თავისუფლების“ გამოსასვლელთან და საქართველოს რაიონებში – „საქპრესის“ ჯიხურებში**

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

**რედაქტორი** ავთანდილ ბერიძე
**სარედაქციო საბჭო:**
**მერაბ ბერიძე, დურმიშხან ბერიძე, რამაზ ბერაძე, ვახტანგ ინაური**

**გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. "საარის" სტამბაში.**
**მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.**
**ტელ: 2 94-14-32**

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,

lit_meskheti@yahoo.com